პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 11 აპრილი, 1952 წ. № 87 (9247). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს გო მო-ჟოს გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია (1-ლი გვერდი).
ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავის გამო (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — დეპუტატების ვ. ა. ხატისვილის, ვ. მ. კორძაძის და ა. ა. ქამლაძის სიტყვები (მე-2 გვერდი).
დავძლიოთ დრამატურგიის ჩამორჩენა (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — დეპუტატების ნ. ნ. ბანძელაძის, ნ. მ. ჯინჭარაძის და აკაკი ფურცელაძეს ეზიზ ეზიზ ქარაგანლის სიტყვა (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო ეკონომიური თათბირზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში

დიდია სოციალისტური შეჯიბრების ქმედითი ძალა. სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ადამიანებში ავითარებს ძვირფას ბოლშევიკურ თვისებას — ახლის გრძნობას, შემოქმედებითს ინიციატივას, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას. სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტური მშენებლობის მეთოდია, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შესანიშნავი სკოლაა. დიდი სტალინი გვასწავლის, რომ **„სოციალისტური შეჯიბრება არ შეიძლება კანცელარიულ საქმედ მივიჩნიოთ. სოციალისტური შეჯიბრება გამოხატულებაა მასების საქმიანი რევოლუციური თვითკრიტიკისა, რომელიც მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას ეყრდნობა“.**

საქართველოს მშრომელები სოციალისტური შეჯიბრების დროშით ამრავლებენ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ფრონტზე. ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ყოველი ახალი თაოსნობა, სიახლე შრომის მეთოდების და აგროტექნიკის ძირეული გაუმჯობესების დარგში, მძლავრი ტექნიკის უკეთ გამოყენების შესანიშნავი მეთოდების დანერგვა მიმართულია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისაკენ.

ჩვენი კოლმეურნე გლეხობა ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას 1952 წლის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ რამდენიმე ხნის წინათ გორის რაიონის მეხილეებმა და მევენახეებმა მოწოდებით მიმართეს თბილისის ოლქის მშრომელებს მოაწყონ შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის. ამ თაოსნობამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. შეჯიბრების ინიციატორები ბეჯითად შრომობენ პირობის შესასრულებლად. შეჯიბრებაში ჩაბმისას გორელმა მეჭარხლეებმა სერიოზული ვალდებულება იკისრეს — 1.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 520 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

აფხაზეთის ასსრ მშრომელებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს აჭარის ასსრ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. სოციალისტური შრომის გმირების მახარაძელი დარეჯან ტაკიძის და ლანჩხუთელი შურა ჩხაიძის რგოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის და საუკეთესო შედეგებსაც აღწევენ.

წოთელწყაროელი, ლაგოდეხელი და სხვა რაიონების კოლმეურნეები იბრძვიან ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად. თელეთელი და თელაველი მექანიზატორები წარმატებით შრომობენ სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად. მათ დანერგეს შრომის მოწინავე მეთოდი — საათობრივი გრაფიკით მუშაობა, რითაც უზრუნველყვეს ტრაქტორების გამომუშავების გადიდება.

მთელი რიგი რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სოციალისტურ შეჯიბრებას კონკრეტულ-ოპერატულად ხელმძღვანელობენ და სათანადო დადებითს შედეგებსაც აღწევენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგან ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი, პარადული ხმაური სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისადმი. არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის ვალდებულება არ შეიცავს აგროტექნიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და არ შეესაბამება შრომის ნაყოფიერების უკვე მიღწეულ დონეს, გამომუშავების ნორმების შესრულებას; ისიც ხდება, რომ ვალდებულებებს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე არ იხილავენ და კაბინეტური წესით შეიმუშავებენ ხოლმე. ამას, ცხადია, ზიანი მოაქვს საქმისათვის.

დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის კოლმეურნეობა ვერ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაწესებულ გეგმებს, დაბალია შრომის დისციპლინა. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად, ვერ რაზმავს კოლმეურნეებს ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ხაშურის მტს-ის კოლექტივი გასულ წელს შეჯიბრებაში ჩაება. პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი საშუალება როდი გამოიყენა იმისათვის, რომ ყველა მექანიზატორს შეესრულებინა ვალდებულება. პარტიულ ორგანიზაციას წლის განმავლობაში არ შეუმოწმებია მექანიზატორთა მიერ ნაკისრი ვალდებულებანი.

ზნაურის რაიონში მიმდინარე წლის დასაწყისში მთელი რიგი ვალდებულებანი იკისრეს სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის. ამ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება რაიონში არ მომხდარა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რაიონში არასაკმაოდ იბრძვიან სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების, მათი მუშაობის მეთოდების საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვისათვის.

საქართველოს მშრომელთა წინაშე პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები. ეს ამოცანებია: უახლოეს წლებში საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფა, ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, თამბაქოს, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლება, პირუტყვის სულადობის გამრავლება და მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ყოველდღიურად, კონკრეტულად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, აღკვეთონ პარადული ხმაური ამ საქმეში და მიაღწიონ ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის შემდგომ საწარმოო აღმავლობას.

შეჯიბრებაში მთავარია სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვა. სოფლის მეურნეობაში ხარისხისათვის ბრძოლა ნიშნავს საბჭოთა აგრონომიოლოგიური მეცნიერების მოთხოვნების, უხვი მოსავლის ოსტატთა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის მოწინავე მებრძოლთა მუშაობის ახალი ხერხების განხორციელებას.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო მუშაკების მოვალეობაა ყური დაუგდონ მასების ხმას, მათს სიგნალებს, დაუყოვნებლივ განახორციელონ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა საქმიანი წინადადებები, ხელი შეუწყონ თავიანთ ვალდებულებებში იმ სიახლის ასახვას, რაც მასების თაოსნობას შეაქვს სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკაში, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლილ დროზე გამოავლინონ ნაკლოვანებანი.

„პარტია,—წერს „პრავდა“, — მიგვითითებს, რომ **ამჟამად სოციალისტური შეჯიბრება სოფლად მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს სახელმწიფო გეგმები, გადაწყდეს მთავარი ამოცანა — ყოველმხრივ ამაღლდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, სწრაფად გადიდდეს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად, შემდგომ განმტკიცდეს და განვითარდეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. იგი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ სრულად და მაღალნაყოფიერად იქნას გამოყენებული ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სრულად იქნას გამოყენებული კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი რესურსები. სოციალისტური შეჯიბრება სოფლად მოწოდებულია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობაში არსებული შინაგანი რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მეცნიერების მიღწევებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე“.**

საგაზაფხულო კულტურების თესვა მასობრივად ჩაღდება. სწრაფად გამოვასწოროთ ნაკლოვანებები, მთელი ძალები დავრაზმოთ საგაზაფხულო თესვის უმოკლეს აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის, ნათესების საუკეთესოდ დამუშავების, ჩაის ფოთლის კრეფისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად, — ასეთია ამჟამად სოფლის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენცია

გაიხსნება 1952 წლის 12 აპრილს, საღამოს 8 საათზე

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (მარჯანიშვილის ქ. № 8)

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს გო მო-ჟოს გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია

9 აპრილს კრემლში, სვერდლოვის დარბაზში, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ჩინეთის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, მშვიდობის საქმისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს გო მო-ჟოს.

ნაშუადღევის 2 საათისათვის დარბაზში შეიკრიბა საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების — მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საბჭოთა მწერლების კავშირის, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის მრავალი წარმომადგენელი. ესწრება აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების, აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკთა დიდი ჯგუფი. თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეები, მოსკოვის საწარმოთა მოწინავეები მოვიდნენ, რათა ლაურეატისათვის მიელოცნათ და გამოეთქვათ მადლობა მშვიდობის დასაცავად მისი დაუცხრომელი მოღვაწეობისათვის. დარბაზში არიან აგრეთვე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიიდან სამშობლოში მიმავალი ჩინელი მწერალი მაო დუნი, კორეელი მწერალი ლი გი ენი და სხვა სტუმრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

დამსწრენი ფეხზე მდგომნი მიესალმებიან დარბაზში ახალი ჩინეთის თვალსაჩინო წარმომადგენლის, თვალსაჩინო მწერლისა და დიდი მეცნიერის გო მო-ჟოს გამოჩენას, რომელიც თავის ნიჭს ახმარს მშობლიური ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეს.

რუსულ და ჩინურ ენებზე ქვეყნდება საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის დადგენილება. მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის გო მო-ჟოს მიენიჭა საერთაშორისო სტალინური პრემია.

კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა გო მო-ჟოს გადასცა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს სამკერდე მედალი. აკადემიკოსმა სკობელცინმა მოკლე სიტყვით მიულოცა გო მო-ჟოს მაღალი ჯილდო და უსურვა შემდგომი წარმატებანი მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ლაურეატს მიესალმნენ აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აკადემიკოსი ბ. დ. გრეკოვი და საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე კ. მ. სიმონოვი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა გო მო-ჟომ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

გო მო-ჟოს გამოსვლა

ბატონო თავმჯდომარე, ძვირფასო მეგობრებო!

დღეს მე გადმომეცა მშვიდობის საერთაშორისო პრემია, რომელიც დაარსდა გენერალისიმუს სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით. ეს უდიდესი პატივია არა მარტო პირადად ჩემთვის, არამედ მთელი ჩინელი ხალხისთვისაც. ეს მაღალი ჯილდო უსაზღვროდ აღმაფრთოვანებს არა მარტო მე, არამედ მთელ ჩინელ ხალხსაც.

სტალინი მთელი კაცობრიობის მზეა. მთელი მსოფლიოს მშრომელები გულითადად უსურვებენ მას მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

იქ, სადაც სტალინური სინათლის სხივები აღწევს, იქ სითბოა, იქ სიცოცხლეა, იქ აყვავება და მშვიდობაა.

ჩვენმა ჩინელმა ხალხმა, რომელსაც აღაფრთოვანებს გენერალისიმუსი სტალინი, ამხანაგ მაო ძე-დუნის წინამძღოლობით მოიპოვა დამოუკიდებლობა, თავისუფლება, დემოკრატია. „ამით ჩვენმა ხალხმა თავისი წვლილი შეიტანა აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

შემდეგში ჩვენ უკეთ უნდა ვიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის სასარგებლოდ, საერთაშორისო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განსავითარებლად. ეს ჩვენგან უდიდეს ღონისძიებებს მოითხოვს, მაგრამ მხოლოდ ეს უზრუნველყოფს მშვიდობას.

დღეს, როცა ამერიკელი ინტერვენტები ჩინეთისა და კორეის ტერიტორიაზე ეწევიან ბაქტერიოლოგიურ ომს, ჩვენმა ჩინელმა ხალხმა უფრო მტკიცედ უნდა აწარმოოს ბრძოლა, იგი უნდა შეუერთდეს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს, ბოლო მოუღოს ამ საზარელ დანაშაულს და ამრიგად დაიცვას მშვიდობა, დაიცვას კაცობრიობა, დაიცვას თავისი თავი.

მე მსურდა გამომეთქვა ის გრძნობები, რომლებსაც ამ მომენტში განვიცდი და დავწერე ლექსი „დიდება და მოვალეობა“. ნება მიბოძეთ წავიკითხო იგი.

გო მო-ჟო კითხულობს ლექსს, რომელშიც ნათქვამია:

მშობლიურ სტალინს ვხედავ ოქროს მედალზე. მაგრამ ძვირფასი ჯილდო მარტო მე როდი მეკუთვნის, იგი ეკუთვნის აგრეთვე მთელ ჩინელ ხალხს, მრავალმილიონიან მებრძოლს მშვიდობისათვის, ჩვენს ყველა ადამიანს, რომლებსაც მაო ძე-დუნი აღაფრთოვანებს. და ამავე დროს მე საქვეყნოდ მეკისრება განსაკუთრებული მოვალეობა. მისი მნიშვნელობის შესაფასებლად უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. მშვიდობისათვის მებრძოლნი, უბრალო ადამიანები გულითადად მილოცავდნენ და მთელი ჩინეთის ჭაბუკები ხალხური ლექსებით მაქებდნენ. ფეხენიანიდან წერილი გამომიგზავნა კორეელმა ბიჭუნამ კიმ დენ სონმა. იგი საჩუქრად მთხოვდა ჩემს პორტრეტს, მაგრამ თანაც სურდა, რომ პორტრეტზე გო მო-ჟო გამოხატული ყოფილიყო სტალინური პრემიის მედლიანად. იგი მწერდა: „მადლობა სტალინს და მთელ სახელოვან საბჭოთა ხალხს. მამაც ჩინელ მოხალისეებს, რომლებიც ჩვენთვის სისხლს ღვრიან, არასოდეს არ დავივიწყებთ. საყვარელი სტალინი მშვიდობის სიმბოლოა. საბჭოების ქვეყნის და ჩინეთის — ორი ძლიერი ძმის, ორი ხალხის კავშირი მშვიდობის მფარველი და ზღუდეა. როცა გავიზრდები და მებრძოლი გავხდები, სტალინი მეც დამაჯილდოებს“.

სად არის კიმ დენ სონი, კორეელი ბიჭუნა? რა გულამაჩუყებლად მწერს იგი! მიიღებს თუ არა იგი ჩემს საჩუქარს? გაიგონებს თუ არა ოდესმე ჩემს მისალმებას? არ ვიცი. შეიძლება იგი შავი ბომბების შავი ჭირით მოწამლა ამერიკელმა ინტერვენტმა, ლაჟვარდ ცაში რომ დაფრინავს. ამ ბიჭუნას ბედი ემუქრება მილიონობით ჩვენს შვილსაც. მაგრამ არის დაბრკოლება ბაქტერიებისათვის, არის ხსნა სიკვდილისაგან. დიახ, ბრძენი სტალინი მშვიდობის სიმბოლოა. ხალხებს მშვიდობა ესაჭიროებათ დედამიწაზე. მაგრამ გაუმაძღარ ვიგინდარათა ერთი მუჭა ხროვა ელტას ამზადებს ბნელეთში, ვერაგულად ამზადებს ბლოკადას, ხლართავს ხრიკებისა და ინების ქსელს, ერევა ხალხთა ცხოვრებაში და ხელს უწყობს საყოველთაო ელტას. ამ მკვლელებმა დიდი ხანია დაკარგეს ადამიანის სახე. მათ სურთ წვან, აწამონ, ასახიჩრონ, მათ ესაჭიროებათ ზამბები, საწამლავი და ხალხთა დასახიჩრება.

მაგრამ ჩვენ ხმამაღლა მოვუწოდებთ, რომ გაბედულად ვიბრძოლოთ ბავშვების, ადამიანების სიცოცხლისათვის, ჩვენი საუკუნის სიმართლის, კულტურისათვის. ჩვენ ვამბობთ, რომ საჭიროა ვებრძოლოთ ორფეხა ქვეწარმავალს, მკვლელს, შავი ჭირის ბაცილას, ულმობელ სიკვდილს, რომელიც მომწყვდეულია სათამაშოში, ტკბილეულში, სადაც უნდა იყოს.

და აი პასუხისმგებლობით გამსჭვალული, დიდი პატივის ღირსად გამხდარი, საქვეყნოდ ვაცხადებ, ვაცხადებ როგორც მოქალაქე და მეომარი: ჩემი ხალხის მისწრაფება იზრდება, სულ უფრო მტკიცდება და ფართოვდება: არ დაიშუროს არავითარი ღონისძიება მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად. ჩვენ მშვიდობისათვის, შრომისა და უფლებისათვის ბრძოლაში დაგვეხმარება სტალინის გენია. ხალხთა მეგობრობა მოსპობს ყოველგვარ შავ საწამლავს.

ნება მიბოძეთ პირადად და ჩინელი ხალხის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ.

ჩინელმა ხალხმა შეითვისა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. მას აღაფრთოვანებს გენერალისიმუსი სტალინი, მას უანგარო დახმარებას უწევს საბჭოთა ხალხი. ჩვენ გავთავისუფლდით წარსულის ბორკილებისაგან. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ამ პირობებში ღირსეულად შევასრულებთ დაკისრებულ მისიას და ზედიზედ მოვიპოვებთ გამარჯვებას.

შვიდასი მილიონი ადამიანის ძმური მეგობრობა მშვიდობის უძლეველი ძალის წყაროა.

ჩვენ მუდამ ვისწავლით დიდი საბჭოთა ხალხისაგან. ჩვენ ავითვისეთ რევოლუციური გამოცდილება და ახლა უნდა ავითვისოთ სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილება.

ჩვენ მეცნიერება და ხელოვნება ხალხის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ, რათა ჩინეთი რაც შეიძლება მალე გახდეს მშვიდობის ბურჯი, როგორიც საბჭოთა კავშირია.

სტალინურ პრემიას 100 ათასი მანეთის რაოდენობით მე მთლიანად გადავცემ მშვიდობის დაცვისათვის და ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩინეთის სახალხო კომიტეტს. მე ვფიქრობ, რომ ამ პრემიის საუკეთესო გამოყენება იქნება მშვიდობის საქმისათვის მისი მოხმარება.

დასასრულ ნება მიბოძეთ წრფელი გულით ვუსურვო სამარადისო აყვავება ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდი ხალხების ძმურ მეგობრობას, ვუსურვო შემდგომი განმტკიცება მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

ვუსურვებ მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გენერალისიმუს სტალინს — მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის უდიდეს მებრძოლს, მთელი კაცობრიობის მხსნელ ვარსკვლავს. (ტაში). (საკდესი).

ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავის გამო

დიდმა იტალიელმა მხატვარმა ლეონარდო და ვინჩიმ სახელი გაითქვა აგრეთვე როგორც უდიდესმა მათემატიკოსმა, მექანიკოსმა და ინჟინერმა — ფიზიკის სხვადასხვა დარგში მნიშვნელოვან აღმოჩენათა ავტორმა. საბჭოთა მკვლევარებს ეკუთვნით საკმაოდ ბევრი შრომა, რომლებიც აშუქებენ ხელოვნებისა და მეცნიერების ამ დიდი მოღვაწის მრავალმხრივ ცხოველმყოფელ ნიჭს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების ბიუროს სხდომაზე, რომელიც 8 აპრილს აკადემიკოს ბ. დ. გრეკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა, მოსმენილ იქნა აკადემიკოს ი. ე. გრაბარის მოხსენება ლეონარდო და ვინჩისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის პროგრამის შესახებ.

ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავთან დაკავშირებით 22-23 აპრილს მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებისა და ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების გაერთიანებული სესია. სესიისათვის მზადდება იტალიელი მხატვრის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მოხსენებანი. (საკდესი).

• • •

ტაშკენტი, 8 აპრილი. (საკდესი). უზბეკეთის სახვითი ხელოვნების მუზეუმში დღეს გაიხსნა გენიალური იტალიელი მხატვრის, მოქანდაკის, არქიტექტორისა და მეცნიერის ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენის მნახველთათვის ეწყობა ლექციები დიდი იტალიელი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

• • •

კალუგა, 8 აპრილი. (საკდესი). დღეს საოლქო სამხატვრო მუზეუმში გაიხსნა ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფუნჯის შესანიშნავი ოსტატის სურათების ფერადი რეპროდუქციები, მისი ნახატების მრავალი ფოტოასლი, აღორძინების ეპოქის ხელოვნებისადმი მიძღვნილი გაფართოებული ექსპოზიცია.

ქალაქის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სკოლებში იმართება ლექციები და საუბრები დიდი იტალიელი მხატვრისა და მეცნიერის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ბიბლიოთეკებში იწყობა მისი მოღვაწეობის ამსახველი წიგნების გამოფენები.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ფასების შემცირება ალმოსავლეთ ჩინეთში

შანხაი, 9 აპრილი. (საკდესი). შანხაის ყველა გაზეთმა დღეს მოათავსა ცნობა შანხაის სახელმწიფო მაღაზიებში ფასების დაკლების შესახებ. სხვადასხვა სახის საკონლის ფასი საშუალოდ შემცირებულია 11 პროცენტით, მათ შორის, მატყლის, ბამბის ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, საპნის, ასანთის, თამბაქოს ნაწარმის, ჭურჭლის, ველოსიპედების, სასწავლო სახელმძღვანელოების, საკანცელარიო ნივთებისა და სხვ.

მნიშვნელოვნად შემცირდა ფასები აღმოსავლეთ ჩინეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც. გაზეთი „სინვენჟიბაო“ იუწყება, რომ ნანკინის სახელმწიფო მაღაზიებში მანუფაქტურის, ტრიკოტაჟის, ჭურჭლის, ლითონის ნაწარმის, მატყლის, საცვლების, ელექტრომოწყობილობისა და სხვა საკონლის ფასები საშუალოდ 10 პროცენტით შემცირდა. იმავე გაზეთის ცნობით ჩრდილოეთ ანხუეის პროვინციის ქალაქ ხეფეში შემცირდა სურსათის ფასები. მაგალითად, ბრინჯი, ხორცი, თევზი, მცენარეული ზეთი საშუალოდ 10-15 პროცენტით გაიაფდა. გარდა ამისა, დაკლებულია ხის ნახშირის, ქსოვილების, თამბაქოს ნაწარმისა და სხვ. ფასები — საშუალოდ 5-10 პროცენტით.

აღმოსავლეთ ჩინეთში კვების ძირითადი პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საკონლის ფასების შემცირება მნიშვნელოვნად ადიდებს შრომელთა რეალურ ხელფასს და ხელს უწყობს მათი ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას.

სასურსათო და სამრეწველო საკონლის ფასების დაკლება გარდა, უკანასკნელ დროს შანხაისა და აღმოსავლეთ ჩინეთის სხვა ქალაქებში დაიკლო კინოთეატრის ბილეთების, აგრეთვე გაზეთებზე ხელმოწერის ფასებმა.

უნგრელი მეტალურგების ახალი შრომითი წარმატება

ბუდაპეშტი, 9 აპრილი. (საკდესი). ოზდის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივმა ახალი წარმატებანი მოიპოვა. დღეს უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივნის მატიას რაკოშისათვის გაგზავნილი დეპეშით კომბინატის კოლექტივი უპატაკებს მას, რომ „4 აპრილის“ სახელობის ბრძმედი 8,5 დღეში გადაკეთდა. გასულ წელს ბრძმედი „მშვიდობა“ ოზდაში გადააკეთეს 11,5 დღეში. ეს ახალი შრომითი წარმატება მიღწეულია მოწინავე საბჭოთა მეთოდების გამოყენებით.

დიმიტროვგრადის მშენებლობა

სოფია, 9 აპრილი. (საკდესი). დღითიდღე იცვლის სახეს ქალაქი დიმიტროვგრადი — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდესი სოციალისტური მშენებლობა. ქალაქში შენდება ახალი ადმინისტრაციული შენობები, მუშათა საცხოვრებელი სახლები. აშენებენ პარკებსა და ბაღებს. მარტო გასულ წელს დიმიტროვგრადში საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 1.200-ზე მეტი ბინა.

მიმდინარე წლის ბოლოსთვის ქალაქში აიგება სახალხო ბანკის, ვიმნაზიის შენობები, ათობით საცხოვრებელი კორპუსი სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატის, ვილკო ჩერვენკოვის სახელობის ელექტროსადგურის, ცემენტის ქარხანა „ვულკანის“ მუშებისათვის, მარიცის ქვანახშირის აუზის მეშახტეებისა და სხვა სამრეწველო საწარმოთა მუშებისათვის.

დიმიტროვგრადის მშენებლები ფართოდ იყენებენ საბჭოთა მშენებლების მოწინავე მეთოდებს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების 1951 წლის გეგმის შესრულების შედეგები

ულან-ბატორი, 9 აპრილი. (საკდესი). დღეს გაზეთ „უნენში“ გამოქვეყნებულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების 1951 წლის გეგმის შესრულების შედეგები.

როგორც გაზეთი იუწყება, პირუტყვის სულადობა წლის განმავლობაში სახელმწიფო მეურნეობებში გადიდდა 18 პროცენტით და არატების საწარმოო გაერთიანებებში — 20,2 პროცენტით. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

დიდი წარმატებებია მიღწეული მიწათმოქმედებაში. მარცვლეული კულტურების ნათესები 12,7 პროცენტით გადიდდა, მარცვლეულის საერთო მოსავალი — 11 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით რესპუბლიკის მრეწველობამ უხეი ტექნიკური აღჭურვილობა მიიღო. საბჭოთა სტახანოველების გამოცდილების ათვისებამ შესაძლებლობა მისცა სამრეწველო კომბინატს, სტალინის სახელობის ხორცკომბინატს, ჩოიბალსანის ათმაკის კვების კომბინატს, ულან-ბატორის ავეჯის ფაბრიკისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების კოლექტივებს წლიური გეგმები გადაჭარბებით შეესრულებინათ. დაახლოებით 20 პროცენტით გადიდდა ფართო მოხმარების პროდუქციის, ქეჩის, იურტის მაუდის, ტყავის ნაწარმის, მზა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოება.

წარმატებით არის შესრულებული კაპიტალური მშენებლობის გეგმა. აგებულია მთავრობის სახლი, ექვსი ელექტროსადგური, ბევრი სკოლა, კლუბი, საავადმყოფო, საერთო საცხოვრებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ 1952 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ 1951 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

დეპუტატ ვ. ა. ხაჯიაშვილის სიტყვა

(ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, ასახავს ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში.

მოსახლეობის კომუნისტურად აღზრდისა და იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლების საქმეში დიდ როლს ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა ქსელი რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება. თუ 1946 წელს 1.585 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, 1952 წლისათვის გვაქვს 2.177.

მიმდინარე წელს დაგეგმილია და უნდა გაიხსნას 94 ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთა მოსაწყობადაც ამჟამად მოსამზადებელი მუშაობა წარმოებს.

უკანასკნელ წლებში გაიზარდა საქალაქო, რაიონული, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკების რიცხვი, ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი, გაუმჯობესდა მკითხველთა მომსახურება.

ამჟამად რესპუბლიკაში, გარდა სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკებისა, კომიტეტის გამგებლობაში 2.000-ზე მეტი ბიბლიოთეკაა 7.000.000-მდე წიგნით. ბიბლიოთეკები მომსახურებას უწევენ 509.734 მუდმივ მკითხველს, რომლებზეც მარტო გასულ წელს გაცემული იყო 7.284.770 წიგნი.

მოსახლეობის ფართო მასაში წიგნის პროპაგანდის მიზნით ბიბლიოთეკები აწყობენ ლიტერატურულ გამოფენებს, აძლევენ მოსახლეობას ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, აწყობენ ლექცია-საუბრებს, მკითხველთა კონფერენციებს, მოძრავ ბიბლიოთეკებს, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა პროპაგანდას, ეხმარებიან მკითხველებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების შესწავლასა და თვითგანვითარების საქმეში.

მარტო 1951 წელს ბიბლიოთეკების მიერ შეძენილია ექვსნახევარ მილიონ მანეთისაზე მეტი ახალი ლიტერატურა, ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 7.485.600 მანეთის ლიტერატურის შეძენა.

ამჟამად რესპუბლიკაში 1.598 საკლუბო დაწესებულებაა. მათთან მუშაობს 7.854 მხატვრული თვითმოქმედების, საერთო განათლების, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 135.917 წევრი. წრეები აწყობენ საღამო-წარმოდგენებსა და კონცერტებს. მოსახლეობის კულტურული მომსახურების მიზნით ადგილობრივი საკლუბო დაწესებულებების მიერ მოწყობილია 28.746 საღამო-კონცერტი, 62.523 კინოსეანსი და 24.446 მოხსენება-ლექცია. გარდა ამისა, საკლუბო დაწესებულებებთან არსებული 1.714 აგიტმხატვრული ბრიგადის საშუალებით კოლმეურნეობებში გაიმართა 9.608 საღამო-კონცერტი.

გაუმჯობესდა საკლუბო დაწესებულებების რეპერტუარი. გარდა იმ პიესებისა, რომლებიც იდგმება საკლუბო დაწესებულებებში, კომიტეტის დავალებით გასულ წელს ქართველმა კომპოზიტორებმა და ხალხურმა მომღერლებმა დაწერეს და შექმნეს 152 ხალხური სიმღერა. მაგრამ ეს ღონისძიებები საკმარისი არ არის. ჩვენ მეტი მონდომებით უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ უფრო მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე ავიყვანოთ მხატვრული თვითმოქმედების რეპერტუარი.

მრავალმხრივ საინტერესო და შინაარსიანი იყო გასულ წელს ჩატარებული მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი დათვალიერება და მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის, პროფკავშირებისა და კოლმეურნეობების საკლუბო დაწესებულებების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

ხალხური შემოქმედების მხატვრული ნამუშევრების გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 260 ექსპონატი, რომლებიც 30.000-ზე მეტმა მშრომელმა დაათვალიერა.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საკლუბო მუშაობის დარგში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში არა გვყავს კვალიფიციური კადრები, გვაქვს მუშაკთა დენადობა, რის გამო ჯერ კიდევ დაბალია საკლუბო მუშაობის იდეურ-მხატვრული დონე.

ზოგიერთი სოფლის სამკითხველო, კლუბი და კულტურის სახლი უზრუნველყოფილი არ არის შესაფერი ბინით და საჭირო მოწყობილობით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მუშაობაზე.

აღსანიშნავია, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ბევრგან აქტიურად არ არის ჩაბმული სოფლის ინტელიგენცია. რაისაბჭოების აღმასკომებმა და სასოფლო საბჭოებმა მეტი დაინტერესება და მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის საქმეში.

კომიტეტის გამგებლობაში ამჟამად 33 მხარეთმცოდნეობის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მემორიალური მუზეუმია, რომლებშიც დაცულია საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურისა და ხელოვნების 300.000-მდე ძეგლი, ლიტერატურის კლასიკოსთა ავტოგრაფები, ქართული მონეტები, სხვადასხვა სახის ექსპონატები და სამეზეიმო ნივთები.

1951 წელს გაიხსნა სერგო ორჯონიკიძის, ნიკო ნიკოლაძის, ქლუხორის, ვანისა და ბოლნისის მუზეუმები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გასულ წელს კომიტეტის გამგებლობაში გადმოვიდა ისტორიისა და არქეოლოგიის 1.481 ძეგლი. ამჟამად მიმდინარეობს ამ ძეგლების ხელახალი აღრიცხვა, შესწავლა და პასპორტების შედგენა. ადგილობრივმა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ძეგლების უკეთ დაცვას, ისე მათი პროპაგანდის საქმეს.

მოსახლეობის ფართო მასებისათვის სისტემატურად იკითხება ლექციები საალექციო ბიუროების, ლექტორთა ჯგუფებისა და სოფლის ლექტორიუმების ლექტორთა საშუალებით. მარტო 1951 წელს წაკითხულია 35.000-ზე მეტი ლექცია, რომლებსაც დაესწრო 2.036.111 კაცი, მათ შორის სოფლის 649 ლექტორიუმის საშუალებით, რომლებშიც გაერთიანებულია 3.660 ლექტორი. ისინი უფასოდ კითხულობენ ლექციებს კოლმეურნეობებში. დღემდე მათი ძალებით ჩატარებულია 14.613 ლექცია-საუბარი.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მეცნიერული-საგანმანათლებლო ცოდნის პროპაგანდა. მცირე რაოდენობით ან სრულიად არ იკითხება ლექციები შორეულ სოფლებში, დაბალია ზოგიერთი ლექციის ხარისხი.

დასასრულს უახლოვდება გორისა და ბათუმის მუზეუმების მშენებლობა. კულტურის ახალი სარაიონო სახლები შენდება ცაგერსა და ყაზბეგში. მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შეკეთებასა და კეთილმოწყობაზე.

ზოგიერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს საფინანსო დისციპლინას, დანიშნულებისამებრ არ იყენებს საბიუჯეტო თანხებს, ან ვერ უზრუნველყოფს ამ თანხების ათვისებას, არის ანგარიშწარმოების მოუწესრიგებლობა და გაფლანგვის შემთხვევებიც კი, რაც კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების, აგრეთვე საფინანსო ორგანოების მხრივ სუსტი კონტროლის შედეგია.

მაგალითად, ზუგდიდის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში სახელმწიფო თანხები გაფლანგეს; ზემო სვანეთის, ასპინძის, კასპის, წალენჯიხისა და ზოგიერთ სხვა რაიონში კაპიტალური რემონტის თანხების ნაწილი სხვა საქმეზე გამოიყენეს; ლენინგორის, ზნაურისა და სტალინირის რაიონებში წიგნების შესაძენად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ნაწილი ვერ აითვისეს; გალის, ფოთის, კაჭრეთის, დუშეთის და ზოგიერთ სხვა რაიონში იყო საფინანსო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ბიუჯეტის პროექტში ნათლად ჩანს საბჭოთა ხალხის მისწრაფება საყოველთაო მშვიდობისაკენ. მხარს ვუჭერ წინადადებას საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

გაუმარჯოს მშვიდობის დიდ მედროშეს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, დიდ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ ვ. მ. კორძაძის სიტყვა

(წულუკიძის რაიონის წულუკიძის საქალაქო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული უდიდესი გამარჯვებებით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიდ სტალინურ გეგმებს, აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით მუშაობენ ქალაქ თბილისის მშრომელებიც. წარმატებით ხორციელდება ქალაქის კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურული მომსახურების ღონისძიებანი. თბილისში აშენდა და შენდება ლამაზად გაფორმებული მრავალსართულიანი შენობები, ხიდები, ფართო ქუჩები, ბაღები და სკვერები. ქალაქის მოსახლეობა მოკლე დროში მიიღებს ბულაჩაურის სასმელ წყალს. ნაცვლად ვიწრო საცალფეხო ხიდისა, რომელიც ლენინის რაიონს აკავშირებდა ქალაქის ცენტრთან, აშენდა და გასულ წელს ექსპლოატაციაში შევიდა რკინიგზის სადგურთან ახალი გადასასვლელი ფართო ხიდი.

დაუღალავად იბრძვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივიც, სადაც მე 22 წელიწადია ვმუშაობ. ქარხნის ორასამდე სტაანანოველი ყოველდღიურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. 1951 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ქარხნის კოლექტივმა 100,7 პროცენტით შეასრულა. აითვისა ჩქაროსნული აბრეშუმსაქსოვი დაზგების გამოშვება, რომელთა გამოცდამ კარგი შედეგი მოგვცა. ახალი კონსტრუქციის დაზგები ქმნიან პროდუქციის გამოშვების 15-20 პროცენტამდე გადიდებისა და მრავალი სახისა და ასორტიმენტის აბრეშუმის ქსოვილის წარმოების შესაძლებლობას.

ჩვენმა ქარხანამ გასულ წელს სახელმწიფოს მისცა მილიონნახევარ მანეთზე მეტი ზეგეგმითი დაგროვება.

საბჭოთა კავშირში მრავალსართულიანი სახლების მასობრივ მშენებლობასთან დაკავშირებით ხელმძღვანელმა ორგანოებმა ქარხნის კოლექტივს დაუსახეს ამოცანა მოეწყო და აეთვისებინა სამგზავრო ლიფტების სერიული გამოშვება. ამჟამად ქარხნის ყველა განყოფილება და საამქრო გაცხოველებულ მუშაობას ეწევა ლიფტების საცდელი ნიმუშების გამოშვებისათვის.

მიღწევებთან ერთად ქარხნის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. 1952 წლის პირველი კვარტალის გეგმა ქარხანამ ვერ შეასრულა. ამის მიზეზი იყო როგორც ქარხნის კოლექტივის შედარებით არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, ისე ნედლეულისა და დამხმარე მასალების მოუმარაგებლობა. მაგალითად, ქარხნის მიერ დამზადებული ამწევი სატრანსპორტო მოწყობილობა დაუმთავრებელი დარჩა ბურთობა-საკისარების და სპეციალური ღვედების, აგრეთვე ელექტრომოწყობილობის უქონლობის გამო. ასეთივე მდგომარეობაა აბრეშუმსაქსოვი დაზგების გამოშვების მხრივაც.

საჭიროა საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ მეტი დახმარება გაუწიოს ქარხანას როგორც ნედლეულითა და მასალებით მომარაგების, ისე კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. ქარხნის კოლექტივი თავის მხრივ ყოველგვარ ზომას მიიღებს, რათა თავი დააღწიოს ჩამორჩენას და წარმატებით შეასრულოს მიმდინარე წლის საწარმოო დავალება.

სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1952 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულია ჩვენი ხალხის წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის უდიდესი ზრდა.

ნავთობის მრეწველობას რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ნავთის ამოღების 1951 წლის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ნავთის გადამუშავების გეგმა. იგი 4,5 პროცენტით აღემატება 1950 წლის ფაქტიურ გადამუშავებას. გადამეტებით არის შესრულებული საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმაც.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ნავთობით. მრავალ აგდილას გამოვლინებულია მისი საბადოები. საჭიროა მხოლოდ ფართო ფრონტით ვაწარმოოთ დეტალური გამოკვლევა, უპირველეს ყოვლისა ღრმა ბურღვის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ღრმა გამოკვლევითი ბურღვა 1951 წელს, 1946 წელთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი 42.1 პროცენტით აღემატება 1950 წლის ნაბურღს, ნავთობის მომუშავენი მაინც ვალში არიან რესპუბლიკის წინაშე, ვინაიდან 1951 წლის გეგმა მხოლოდ 96,7 პროცენტით არის შესრულებული.

ბურღვის ფრონტის გაშლას რესპუბლიკაში ყოველთვის წინ ეღობებოდა ორი დიდი სიძნელე—ტექნიკური ბაზის სისუსტე და კვალიფიციური კადრების სიმცირე. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამ დარგში სერიოზული მუშაობა წარმოებს. უკვე დასრულდა და მუშაობს ჟანგბადის ქარხანა. დასრულებულია და ამუშავდება სატრანსპორტო ბაზა. იგი ფაქტიურად ავტოტრაქტორთა სარემონტო ქარხანას წარმოადგენს, მთავრდება სარემონტო-მექანიკური ქარხნის აგება, რომელიც უზრუნველყოფს ბურღვისა და საექსპლოატაციო დანადგართა რემონტს. მალე დამთავრდება კარატაჟული ბაზის აშენება. გრძელდება მუშაობა სამშენებლო ბაზის აგებისათვის, და ვფიქრობთ, იგი მომავალ წელს დამთავრდება.

იზრდებიან კვალიფიციური კადრები. უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში 49 ახალგაზრდა ინჟინერი და 102 ტექნიკოსი შეგვემატა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთამადნო ფაკულტეტზე ნავთობის განყოფილების შექმნას, რომელიც ჯერჯერობით ვერ არის სათანადოდ ორგანიზებული.

კადრების აღზრდის საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა თბილისის ნავთობის ტექნიკუმმა. საკმარისია ითქვას, რომ დღეს საქნავთში მუშაობს თბილისის ტექნიკუმდამთავრებული ექვსი ბურღვის ოსტატი, სამი ნავთობის ოსტატი და ორი უფროსი ინჟინერი.

ნავთობის მუშაკებმა კარგად იციან თუ რა ძნელ და მასთან ერთად რა საპატიო ფრონტზე უხდებათ მათ მუშაობა. ისინი ყველაფერს გააკეთებენ მათ წინაშე დასახული ყველა ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის წინაშე წარმოდგენილი 1952 წლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კულტურის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას. შემომაქვს წინადადება, რათა წარმოდგენილი ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნას.

გაუმარჯოს პროგრესული კაცობრიობის იმედს, ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ ა. ა. კავლაძის სიტყვა

(ქალაქ თბილისის ქ. მარქსის ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1952 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულია ჩვენი ხალხის წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის უდიდესი ზრდა.

ნავთობის მრეწველობას რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ნავთის ამოღების 1951 წლის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ნავთის გადამუშავების გეგმა. იგი 4,5 პროცენტით აღემატება 1950 წლის ფაქტიურ გადამუშავებას. გადამეტებით არის შესრულებული საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმაც.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ნავთობით. მრავალ აგდილას გამოვლინებულია მისი საბადოები. საჭიროა მხოლოდ ფართო ფრონტით ვაწარმოოთ დეტალური გამოკვლევა, უპირველეს ყოვლისა ღრმა ბურღვის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ღრმა გამოკვლევითი ბურღვა 1951 წელს, 1946 წელთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი 42.1 პროცენტით აღემატება 1950 წლის ნაბურღს, ნავთობის მომუშავენი მაინც ვალში არიან რესპუბლიკის წინაშე, ვინაიდან 1951 წლის გეგმა მხოლოდ 96,7 პროცენტით არის შესრულებული.

ბურღვის ფრონტის გაშლას რესპუბლიკაში ყოველთვის წინ ეღობებოდა ორი დიდი სიძნელე—ტექნიკური ბაზის სისუსტე და კვალიფიციური კადრების სიმცირე. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამ დარგში სერიოზული მუშაობა წარმოებს. უკვე დასრულდა და მუშაობს ჟანგბადის ქარხანა. დასრულებულია და ამუშავდება სატრანსპორტო ბაზა. იგი ფაქტიურად ავტოტრაქტორთა სარემონტო ქარხანას წარმოადგენს, მთავრდება სარემონტო-მექანიკური ქარხნის აგება, რომელიც უზრუნველყოფს ბურღვისა და საექსპლოატაციო დანადგართა რემონტს. მალე დამთავრდება კარატაჟული ბაზის აშენება. გრძელდება მუშაობა სამშენებლო ბაზის აგებისათვის, და ვფიქრობთ, იგი მომავალ წელს დამთავრდება.

იზრდებიან კვალიფიციური კადრები. უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში 49 ახალგაზრდა ინჟინერი და 102 ტექნიკოსი შეგვემატა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთამადნო ფაკულტეტზე ნავთობის განყოფილების შექმნას, რომელიც ჯერჯერობით ვერ არის სათანადოდ ორგანიზებული.

კადრების აღზრდის საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა თბილისის ნავთობის ტექნიკუმმა. საკმარისია ითქვას, რომ დღეს საქნავთში მუშაობს თბილისის ტექნიკუმდამთავრებული ექვსი ბურღვის ოსტატი, სამი ნავთობის ოსტატი და ორი უფროსი ინჟინერი.

ნავთობის მუშაკებმა კარგად იციან თუ რა ძნელ და მასთან ერთად რა საპატიო ფრონტზე უხდებათ მათ მუშაობა. ისინი ყველაფერს გააკეთებენ მათ წინაშე დასახული ყველა ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის წინაშე წარმოდგენილი 1952 წლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კულტურის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას. შემომაქვს წინადადება, რათა წარმოდგენილი ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნას.

გაუმარჯოს პროგრესული კაცობრიობის იმედს, ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

დავძლიოთ დრამაგზურგიის ჩამორჩენა

★

„პრავდა“, 1952 წ. 7 აპრილი.

★

I.

საბჭოთა დრამატურგია ჩვენი მოწინავე სოციალისტური კულტურის განუყრელი ნაწილია. დრამატურგიის მდგომარეობაზე მთლიანად დამოკიდებულია საბჭოთა თეატრის განვითარება. საბჭოთა დრამატურგიის პროგრესული, ნოვატორული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მართალი მხატვრული სახეებით გვიჩვენებს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს, ამკვიდრებს თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე იდეებს, ეწევა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდას.

ოსტორიაში პირველად საბჭოთა დრამატურგიამ გამოიყვანა სცენაზე ახალი გმირი — თავისუფალი შრომის ადამიანი, რომელიც ახალი ცხოვრების მშენებელი და ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა.

საბჭოთა მწერლებმა, რომლებმაც მემკვიდრეობად მიიღეს და შემოქმედებითად ავითვარებენ რუსული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ტრადიციებს, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის გზაზე დგანან, ცოტა როდი მოგვცეს შესანიშნავი ნაწარმოებნი, შექმნეს საბჭოთა კლასიკური დრამატურგიის ნიმუშები. ჩვენი თეატრის გვანეთარებაში შესანიშნავი როლი შეასრულა გორკის დრამატურგიამ. საბჭოთა წყობილების დროს ა. მ. გორკიმ დაწერა კლასიკური პიესები — „ეგორ ბულიჩოვი და სხვები“, „დოსტიგაევი და სხვები“. გორკის ნაწარმოებებმა გზა გაუკვალეს ჩვენს დრამატურგიაში სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებას.

კ. ტრენევის „ლიუბოვ იაროვაიამ“, ვს. ივანოვის „ჯავშნოსანმა 14-69“, ბ. ლავრენევის „რღვევამ“, ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის „ძარცვა“ ფართო აღიარება ჰპოვეს და ხელი შეუწყეს საბჭოთა თეატრის რეპერტუარის დადგინებას. ომისშემდგომ პერიოდში გამოვიდა ისეთი ნაწარმოებნი, როგორიც არის ბ. რომაშოვის „დიადი ძალა“, კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი“, ბ. ლავრენევის „ამერიკის ხმა“ და „მეზღვაურები“, ა. კორნეიჩუკის „ძალა დუბრავა“, ვს. ვიშნევსკის „დაუვიწყარი 1919“, ა. სოფრონოვის „მოსკოვური ხასიათი“, ა. სუროვის „მწვანე ქუჩა“, კ. კრაპივას „ტორფლები გალობენ“, ა. იაკობსონის „ორი ბანაკი“ და სხვები.

ჩვენი ცხოვრება, რომელიც სწრაფად ვითარდება, ხელოვნების წინაშე ახალ, სულ უფრო მაღალ ამოცანებს სახავს. დღითიდღე იზრდება საბჭოთა ხალხის კულტურული დონე, მაღლდება მისი მოთხოვნები ხელოვნებისადმი.

საბჭოთა მწერლებმა კიდევ უფრო უნდა აამაღლონ ჩვენი დრამატურგიის იდეურ-მხატვრული დონე, უფრო სრულად ასახონ თავიანთ თანამედროვეთა მრავალმხრივი ცხოვრება. მაგრამ ჩვენი დრამატურგები სუსტად ართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

წლევანდელი თეატრალური სეზონის განმავლობაში მაყურებელმა დედაქალაქის თეატრების რეპერტუარში ვერ ნახა მკაფიო და მნიშვნელოვანი სპექტაკლები თანამედროვე საბჭოთა თემებზე. საბჭოთა ადამიანების დღევანდელმა ცხოვრებამ თეატრების მიერ ნაჩვენებ ახალ დადგმებში ღირსეული მხატვრული განსახიერება ვერ ჰპოვა. დრამატურგიის ახლანდელი მდგომარეობა ხალხისა და პარტიის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ გვქონდეს თანამედროვეობის დიდი და მნიშვნელოვანი თემებისადმი მიძღვნილი პიესები. არა, ასეთი პიესები ცოტა როდია. მაგრამ ბევრი პიესიდან, რომლებსაც ჩვენი დრამატურგები ქმნიან, მხოლოდ ცოტაა დასადგმელად გამოსადეგი. არსებული პიესების რაოდენობასა და ხარისხს შორის მკვეთრი შეუფარდებლობა იმას მოწმობს, რომ ბევრი დრამატურგი თავის მუშაობას არასწორი მიმართულებით ეწევა.

მეტი წილი თეატრების რეპერტუარი ძალიან სუსტად ივსება კარგი პიესებით. ჯერ კიდევ შესრულებული არ არის დასახული ამოცანა, რომ თვითეული დრამატული თეატრი დგამდეს სულ მცირე ორ-სამ ახალ მაღალხარისხოვან სპექტაკლს თანამედროვე თემებზე. გასაკვირველი არ არის, რომ ასეთი მდგომარეობა ხშირად აქარწყლებს ბევრი მაღალნიჭიერი თეატრალური კოლექტივის ღონისძიებებს.

დრამატურგიის ჩამორჩენა ხალხის გაზრდილი მოთხოვნებისაგან იმით გამოიხატება, რომ არადამაკმაყოფილებელია ჩვენი ქვეყნის ისეთი უდიდესი თეატრების რეპერტუარის მდგომარეობა, როგორიც არიან მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი, მცირე თეატრი, ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის თეატრი და სხვები. აგრეთვე არადამაკმაყოფილებელია ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარი. დრამატურგიის ჩამორჩენა უაღრესად მძიმე გავლენას ახდენს ადგილობრივი თეატრების მუშაობაზე.

საბჭოთა ადამიანებს არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექციათ იმისათვის, რომ 1951 წლის სტალინური პრემიების მინიჭებისას არ აღმოჩნდა საბჭოთა დრამატურგიის ისეთი ნაწარმოები, რომელიც პირველი და მეორე ხარისხის პრემიების ღირსი ყოფილიყო. მხოლოდ ორ პიესას მიენიჭა მესამე ხარისხის პრემიები.

საბჭოთა ლიტერატურას ნიჭიერი, კვალიფიციურ დრამატურგთა კადრები ჰყავს. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ხელსაყრელი პირობები მხატვრული შემოქმედებისათვის. საბჭოთა ადამიანების შინაარსიანი, სულიერად მდიდარი ცხოვრება მაღლიერ მასალას აძლევს მხატვარს სოციალისტური რეალიზმის შესანიშნავ ნაწარმოებთა შესაქმნელად. საბჭოთა მწერლებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ დაძლიონ დრამატურგიის დროებითი ჩამორჩენა.

იმ მიზეზების გარკვევისას, რომლებმაც გამოიწვია დრამატურგიის ჩამორჩენა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელოვნების საქმეთა კომიტეტი და საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა სუსტად ხელმძღვანელობდნენ თეატრალური რეპერტუარის შექმნის საქმეს. მაგრამ მთავარი, გადამწყვეტი მიზეზი ის იყო, რომ დრამატურგებსა და კრიტიკოსებს არასწორად ესმით სოციალისტური რეალიზმის თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი და უწინარეს ყოვლისა კონფლიქტის, როგორც დრამატული ნაწარმოების საფუძვლის საკითხი.

II.

დრამატურგებისა და თეატრის შემოქმედებითი მუშაკების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ასახონ საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმდიდრე, მისი ხასიათის შესანიშნავი თვისებები, რომლებიც თავს იჩენს შემოქმედებითი შრომის და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის პროცესში; ადიდონ ჩვენი სამშობლოს სიდიადე და სიმძლავრე, მთელ მსოფლიოში თავისუფლების, მშვიდობისა და დემოკრატიის მზარდი ძალები, მათი ბრძოლა გამანადგურებელ ძალებთან—რეაქციის, ომისა და ბნელეთისმოციქულობის ძალებთან.

მხატვარი, რომელიც ცხოვრებას ნამდვილად იცნობს, რომელიც გულდასმით აკვირდება ყოველივე იმას, რაც გარშემო ხდება, არ შეიძლება არ ხედავდეს, რომ კომუნიზმის მშენებელთა გზაზე გვხვდება დაბრკოლებანი და სიძნელენი, შეჯახებანი, ცხოვრების სერიოზული წინააღმდეგობანი, რომელთა დაძლევა მოითხოვს დიდ ღონისძიებებს, პატრიოტული მოვალეობის მაღალ შეგნებას. ახლის ბრძოლა ძველთან იწვევს უაღრესად მრავალნაირ კონფლიქტებს, რომელთა გარეშე ცხოვრება არ არის და, მაშასადამე, არც ხელოვნებაა.

დრამატურგიის სიღარიბის, ბევრი პიესის სისუსტის მთავარი მიზეზი ის არის, რომ დრამატურგები თავიანთ ნაწარმოებებს საფუძვლად არ უდებენ ცხოვრების ღრმა კონფლიქტებს, გვერდს უვლიან მათ. ასეთი პიესების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ჩვენში ყველაფერი კარგად, იდეალურად არის, არავითარი კონფლიქტი არ ხდება. ზოგიერთ დრამატურგს მიაჩნია, რომ მას თითქმის აკრძალული აქვს გააკრიტიკოს ცუდი, უარყოფითი მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში. ზოგი კრიტიკოსი კი მოითხოვს, რომ მხატვრულ ნაწარმოებებში ნაჩვენები იყოს მხოლოდ იდეალური ტიპები, ხოლო თუ მწერალი, დრამატურგი ისეთ რაშეს გვიჩვენებს, რაც ცხოვრებაში უარყოფითია, მაშინ ცდილობენ გააკრიტიკონ ეს მწერალი.

საქმისადმი ასეთი მიდგომა სწორი არ არის. ასე მოქცევა იმას ნიშნავს, რომ სიმხდალეს იჩენდე, სიმართლის წინაშე სცოდავდე.

ჩვენში ყველაფერი როდია იდეალურად, ჩვენში არიან უარყოფითი ტიპები, ჩვენს ცხოვრებაში ბოროტება ცოტა როდია, და ყალბი ადამიანებიც ცოტანი როდი არიან. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ვაჩვენოთ ნაკლოვანებანი და სიძნელენი. ნაკლოვანებებს მკურნალობა უნდა. ჩვენ გოგოლები და შჩედრინები გვჭირდება. ნაკლი იქ არ არის, სადაც არ არის მოძრაობა, არ არის განვითარება. ჩვენ კი ვვითარდებით და წინ მივდივართ — მაშასადამე, გვაქვს სიძნელეებიც და ნაკლოვანებებიც.

დრამატურგია ცხოვრების კონფლიქტებს უნდა გვიჩვენებდეს, უამისოდ დრამატურგია არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა ჯეროვან სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. უკანასკნელ წლებში გავრცელდა კონფლიქტების ქრობის ეულგარული „თეორია“, რომელმაც მაგნე გავლენა მოახდინა დრამატურგების შემოქმედებითს მუშაობაზე. სწორედ „უკონფლიქტობა“, ამ ეგრეთწოდებული „თეორიის“ ავტორების აზრით, უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა პიესების ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ დრამატული კონფლიქტის პრობლემას გაზეთი „სოვეტსკოე ისკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოხრე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ შ. ი. ჭანუყვაძის სიტყვა

(ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა 1951 წელს სერიოზული წარმატებები მოიპოვეს. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გადიდდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი. 1950 წელთან შედარებით იგი 6.930.088 მანეთით გაიზარდა. შრომადღეზე საშუალოდ განაწილდა 14 მანეთი და 34 კაპიკი, ნაცვლად 1950 წელს განაწილებული 11 მანეთისა. დასაქონლების ჩაუთვლელად, შრომადღეზე განაწილდა აგრეთვე 2,4 კილოგრამი მარცვლეული.

დიდი ყურადღება ექცევა მრავალწლიანი კულტურების განვითარებას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაის კულტურის ძოვლა-პატრონობა, რის შედეგადაც გასულ წელს გეგმით გათვალისწინებული 2.500 ტონის ნაცვლად მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 3.012 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულდა 120,4 პროცენტით. მოკრეფილი ფოთლის 90,6 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

1946 წლამდე რაიონში არ იყო არც ერთი მილიონერი კოლმეურნეობა, გასულ წელს 41 კოლმეურნეობიდან მილიონზე მეტი შემოსავალი მიიღო 19 კოლმეურნეობამ.

რაიონის კოლმეურნეობებისა და საწარმოების მიერ გასულ წელს მოპოვებულმა წარმატებებმა უზრუნველყო რაიონის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულება.

ჩვენი რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა მაღალი მოსავალი მიიღეს და შრომადღეზე გაცილებით მეტი მარცვლეული და ფული გაანაწილეს, ვიდრე გასულ წლებში. მაგალითად, სოფელ ქვენობნის კოლმეურნეობამ შარშან ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 28 ცენტნერი სიმინდი და შრომადღეზე გასცა 4 კილოგრამი მარცვლეული და 34 მანეთი და 20 კაპიკი. განახლების კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 22,2 ცენტნერი სიმინდი, ხოლო შრომადღეზე გაანაწილა ნატურით 3,7 კილოგრამი, ხოლო ფულად 20 მანეთი. ასევე დიდი მოსავალი მიიღეს და შრომადღის ღირებულება გაზარდეს ქვეყნ ერკეთის, სამების, ფარცხმის, ბასილეთის და სხვა კოლმეურნეობებმა.

მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც მცირე მოსავალს იღებენ, დაბალია შრომადღის ანაზღაურება.

გასულ წელს შემოწმებულ იქნა კოლმეურნეობათა უმრავლესობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა. გამოვლინდა შრომადღეების არასწორი ხარჯვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცების, საკოლმეურნეო საკუთრების მითვისებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევის ფაქტები. ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დაისახა სათანადო ღონისძიებანი, გაძლიერდა ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად დაცვისათვის.

ნაკლოვანებანი გამოვლინდა აგრეთვე საბიუჯეტო თანხების ხარჯვის საქმეში. ყველა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ მომავალში მკაცრად იქნას დაცული საფინანსო დისციპლინა.

დიდი და სერიოზული ამოცანები დგას რაიონის კოლმეურნეობებისა და ყველა მშრომელის წინაშე მიმდინარე წელს. ამჟამად გაჩაღებულია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჩაის ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, გაშენებისა — 100,5 პროცენტით, დაიწყო ერთწლიანი კულტურების თესვა. კოლმეურნეობები, ბრიგადები, რგოლები და კოლმეურნეები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ჩაის გასაშენებლად ნიადაგი მოამზადონ 220 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ჰექტარისა, გეგმით გათვალისწინებული 3.320 ტონის ნაცვლად მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 4.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გააშენონ ციტრუსები 100 ჰექტარზე, ჩხავერის ჯიშის ვენახი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 48 ჰექტარისა 60 ჰექტარზე. მნიშვნელოვნად გადიდდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო მოსავლიანობა. ამავე დროს რაიონის კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი წელს გასულ წელთან შედარებით გაიზრდება სულ მცირე 7 მილიონი მანეთით.

ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ზოგიერთ საკითხზე. როგორც ცნობილია, კურორტ ბახმარომდე გაყვანილ იქნა საავტომობილო გზა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ბახმარიზე დამსვენებელთა რიცხვის ზრდას. კურორტზე ყოველწლიურად ისვენებს 20 ათასზე მეტი მშრომელი. ამან დააყენა კურორტის კეთილმოწყობის საკითხი. მიუხედავად საკითხის არაერთხელ დასმისა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და კურორტთა სამმართველო ამ მხრივ არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის წინაშე განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. მხარს ვუჭერ გამოსული დეპუტატების წინადადებას წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ ნ. მ. ჯინჭარაძის სიტყვა

(აჭარის ასსრ ქალაქ ბათუმის საქარხნო საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სერიოზული მიღწევებით შეხვდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის მშრომელები.

სოციალისტური შეჯიბრების ფორთოდ გაშლის შედეგად მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოების მუშაობა გასულ სამეურნეო წელს კიდევ უფრო გაუმჯობესდა და მთლიანი დიდმა უმრავლესობამ საერთო პროდუქციის გამოშვების დაკვანა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათობით მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქცია.

ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები თავიანთ რიგებში ასობით გამოჩენილ სტახანოველს ითვლიან, რომლებიც ყოველ დაეუფლნენ წარმოების მოწინავე მეთოდებს და შრომის ნაყოფიერების ზრდისა და შრომითი გმირობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მოწინავე ოპერატორებმა ამხ. ჩანტლაძემ, ჭოლოკავამ და ძველაძემ გასულ წელს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს რამდენიმე ათასი ტონა ნავთის პროდუქტი. ლ. პ. ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველი ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ვადაჭკორია ერთიდან ოთხი სახარატო დაზგის მომსახურებაზე გადავიდა. გამომუშავების ნორმებს ყოველდღიურად 350-400 პროცენტით ასრულებს. ომისშემდგომ ხუთწლედში მან 23 წლის ნორმა შეასრულა.

მიუხედავად ამისა, სამრეწველო საწარმოების მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. 1951 წლის გეგმა ვერ შეასრულეს ლუდის და თევზის ქარხნებმა, ავეჯის ფაბრიკამ, ხორცის კომბინატმა, ქობულეთის რაიონსამრეწველო კომბინატმა და სხვებმა, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 6 მილიონამდე მანეთის პროდუქცია. ჯერ კიდევ დაბალია მთელი რიგი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ეს პირველ რიგში შეეხება მსუბუქ და ადგილობრივი მრეწველობის და კოოპერაციულ საწარმოებს.

გასულ წელს მწყობრში ჩადგა ბათუმის ლუდის კომბინატი, მუხაესტატესა და აჭყვის ჩაის ფაბრიკები, ქობულეთის ელექტროსადგური, აჭარაჭაბრობის მაცივარი, ამენდა შუახევის ადმინისტრაციული სახლი, უკვე დამთავრდა და ამ დღეებში საელექსლოატაციოდ გადაეცემა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი შენობა, რომელიც თავისი არქიტექტურული გაფორმებით და შიდაგანლაგებით ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური შენობაა. წარმატებით მიმდინარეობს ი. ბ. სტალინის მუზეუმის მშენებლობა, მეხავთეთა ასბინიანი და გეომემკეთებელი ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დაწყებულია ახალი მძლავრი ჩაის ფაბრიკის მშენებლობა ბათუმის რაიონში.

ამასთან უნდა აღინიშნოს სერიოზული ჩამორჩენაც კაპიტალური მშენებლობის საქმეში. სამშენებლო სამუშაოების ცუდი ორგანიზაციისა და მასალებით არადამაკმაყოფილებელი მომარაგების შედეგად გასულ წელს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 87 პროცენტით, აუთვისებელი დარჩა 7 მილიონ მანეთამდე.

ქალაქ ბათუმის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებასთან ერთად დღეიდან ვიწრო ადგილად რჩება საბინაო ფონდის გადიდების საკითხი. უკანასკნელ წლებში ქალაქის საბჭოს აღმასკომის ხაზით ბათუმში მხოლოდ ერთი 23-ბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა, რომელიც 1949 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ. მას შემდეგ ამ ხაზით საბინაო ფონდი სრულებით არ გაზრდილა, ხოლო საბინაო შენებლობა ქალაქში საუწყვეთო ორგანიზაციების ხაზით ძალიან შეზღუდულია. ამასთან დაკავშირებით ვთხოვ უმაღლესი საბჭოს სესიას გაითვალისწინოს მიმდინარე წლის ბიუჯეტით ერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ამ მშენებლობის დაფინანსება მიმდინარე წლიდანვე.

გასულ წელს სერიოზული წარმატებები იქნა მოპოვებული აჭარის სოფლის მეურნეობაში. გადაჭარბებით შესრულდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებისა და სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 1.400 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, 71 მილიონი ცალი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი. თამბაქოს დამზადების გეგმა 128 პროცენტით შესრულდა.

1950 წელთან შედარებით კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 14,6 პროცენტით გაიზარდა. შრომადღის ანაზღაურება გაიზარდა 25 პროცენტით. ამჟამად აჭარაში 43 მილიონერი კოლმეურნეობაა. ქობულეთის რაიონის ვორონოვკის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს 12 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო და ერთ შრომადღეზე გასცა 38 მანეთი და 77 კაპიკი; სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ მიიღო 8 მილიონ მანეთამდე შემოსავალი და შრომადღეზე გაანაწილა 34 მანეთი და 35 კაპიკი.

საკოლმეურნეო შრომა აჭარელი გლეხის კეთილდღეობის და შეძლებული ცხოვრების ნამდვილ წყაროდ გადაიქცა. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრის სკენდერ მახაძის ოჯახმა 1951 წელს 1.512 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან 58.968 მანეთი და 7 ტონა ხორბალი ერგო. გარდა ამისა, ამ ოჯახმა საკარმიდამო ნაკვეთიდან 15.000 მანეთი ფული და ერთი ტონა ხორბალი მიიღო. ამრიგად, კოლმეურნე მახაძის ოჯახის წლიურმა შემოსავალმა მიაღწია 74 ათას მანეთს და 8 ტონა ხორბალს. ასეთი კოლმეურნეები ჩვენთან ერთეული როდია.

სერიოზული მიღწევებია მოპოვებული ჩვენს რესპუბლიკაში განათლებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მარტო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე აჭარის 1951 წლის ბიუჯეტით 92.900 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტის 77 პროცენტი დაიხარჯა.

აჭარის ასსრ გასული წლის ბიუჯეტის ყველა დავალება გადაჭარბებით შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა ბიუჯეტის გასავლის ნაწილიც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვისადმი კონტროლი ყველა ორგანიზაციაში არ იყო დაყენებული ჯეროვან სიმაღლეზე, რის შედეგად იყო საშტატო-საფინანსო დისციპლინის და საბიუჯეტო თანხების ხარჯვის წესის უხეში დარღვევის შემთხვევები, გაფლანგვა-განიავების ფაქტები.

ამხანაგო დეპუტატებო! მხარს ვუჭერ აქ გამოსული დეპუტატების წინადადებას, რათა დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

გაუმარჯოს მშვიდობის დიდ მედროშეს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ აჯარ მურლუზ ყზი ყარაბალლის სიტყვა

(მარნეულის რაიონის ზულავრის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის ზრუნვას სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის.

წლითიწლობით იზრდება მარნეულის რაიონის მეურნეობაც. კოლმეურნეობები სულ უფრო მეტ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს იღებენ სახელმწიფოსაგან. 1951 წელს რაიონის მშრომელებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს. კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა შეასრულეს 107 პროცენტით, ხორცის ჩაბარების გეგმა—101 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით, მატყლისა—107 პროცენტით, თამბაქოსი—151 პროცენტით, ყურძნისა—106 პროცენტით.

ამ წარმატებათა მიუხედავად, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში კიდევ ბევრია ნაკლოვანება, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. ჩვენ უმოკლეს ვადაში უნდა მივაღწიოთ პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრ აღმავლობას.

უკანასკნელი წლების მანძილზე მარნეულის რაიონში ბევრი რამ გაკეთდა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მთავრდება სკოლის ახალი შენობის აგება და კულტურის სახლის კაპიტალური რემონტი, აშენდა პოლიკლინიკა.

რაიონში არის 8 საშუალო, 29 არასრული საშუალო და 43 დაწყებითი სკოლა.

შესრულებულია ჩვენი რაიონის 1951 წლის ბიუჯეტი. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დახარჯა 12.293.100 მანეთი. შემდგომი კეთილმოწყობისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის კვლავ გამოყოფილია დიდი თანხები.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სავსებით უზრუნველყოფს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის წინაშე ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში. შემომაქვს წინადადება — დამტკიცდეს წარმოდგენილი ბიუჯეტი.

ჩვენი რაიონის მშრომელებს შეგნებული აქვთ პასუხისმგებლობა საშობლოს წინაშე. ისინი მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ წარმატებით შეასრულონ ყველა თავიანთი ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის დარგში.

საბჭოთა ხალხების მეგობრულ ოჯახში, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მომავალშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კომუნიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

გენას ვერ მოგვცემენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაზე, მათს შრომასა და ყოფაში კომუნიზმის სულ უფრო თვალსაჩინო ნიშნებზე. ასეთი პიესები არ აიარაღებენ მკითხველებსა და მაყურებლებს სიძნელეთა გადასალახავად, არ ეღვიძებენ მათ აზრსა და გრძნობას.

წარსულის კლასიკური პიესებისა და საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისინი ყოველთვის ეყრდნობოდნენ ცხოვრების წინააღმდეგობათა გაბედულად ასახვას, მწვავე კონფლიქტებს. სწორედ ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში ვითარდებიან და თავს იჩენენ ადამიანთა ხასიათები.

საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ-მორალურმა ერთიანობამ, სოციალისტურ საზოგადოებაში ანტაგონისტურ, კლასობრივ წინააღმდეგობათა ლიკვიდაციამ ბევრი ძველი კონფლიქტის მოსპობა გამოიწვია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დრამატურგებს შეუძლიათ შემოქმედი ხალხის ცხოვრება უშფოთველ-იდილიური, ტკბილ-ტკბილი ტონებით დაგვიხატონ. ასეთი ფენტიმენტალური სიყალბე სრულებით არ შეჰფერის საბჭოთა დრამატურგს.

მხატვრისათვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი ცოდვა, როგორც ცხოვრების სიმართლის შიში, ცხოვრების წინააღმდეგობათა გამოხატვისათვის გვერდის ახვევა. სიმართლე ცხოვრების სახეისა მის რევოლუციურ განვითარებაში სოციალისტური რეალიზმის ფელოვნების პირველი მცნებაა. წეროეთ სიმართლე, — ასწავლის ამხანაგი სტალინი ჩვენს მწერლებს.

მხოლოდ სიმართლის ამსახველი ხელოვნება შეიძლება იყოს ნამდვილად ადეური, მოქმედებდეს მილიონობით ადამიანთა სულზე. „ღმერთმა ნუ ქნას, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ ჩვენ სიმართლის შიშის ავადმყოფობა ადამოგვიდოს. ბოლშევიკები, სხვათა ორის, სწორედ იმით განსხვავდებიან ყველა სხვა პარტიისაგან, რომ მათ არ ეშინიათ სიმართლისა, არ ეშინიათ თვალი გაუსწორონ სიმართლეს, რა წარიც უნდა იყოს იგი“. მხოლოდ ეკან მიმავალ, დასაღუპავად განწირულ პარტიებს ეშინიათ სინათლისა და კრიტიკისა. ბოლშევიკებს არც ერთის ეშინიათ და არც მეორისა, არ ეშინიათ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ აღმავალ პარტიას, გამარჯვებისაკენ მიმავალ პარტიას. სიმართლის წერა ნიშნავს ხედავდე და სწორად ასახავდე სინამდვილის განვითარებას, მის წინააღმდეგობებს, ახლის ბრძოლას ძველთან.

საბჭოთა მხატვარი მთელ ამ პროცესებს მოწინავე იდეური პოზიციებიდან აშუქებს. იგი მოვალეა გვიჩვენებდეს ახლის ყოვლისმძლე ძალას, გამოდიოდეს მის დასაცავად, იცავდეს და მხარს უჭერდეს მოწინავეს, მაგალითად ხდიდეს მას მილიონობით ადამიანისათვის, აქტიურად უწყობდეს ხელს მათში კომუნიზმის მშენებელთა საუკეთესო თვისებების აღზრდას.

საბჭოთა მხატვრების აქტიური პატრიოტული როლის გაგების გასაღებს იძლევა ამხანაგ სტალინის შესანიშნავი სიტყვები დიალექტიკური მეთოდის შესახებ, რომელიც „გრძნობს ცხოვრების მაჯისცემას და პირდაპირ გვეუბნება: რადგანაც ცხოვრება იცვლება, რადგანაც ცხოვრება მოძრაობს, ამიტომ ცხოვრების ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს: კარგი და ავი, რომელთაგან პირველი ეუფლება და მეორე უარყოფთ“. ჩვენმა დრამატურგებმა უნდა ამხილონ და ულმობლად გაამათრახონ კაპიტალიზმის ნაშთები, პოლიტიკური უდარდელობის, ბიუროკრატიზმის, უძრაობის, მლიქვნელობის, ყოყოჩობის, ქედმაღლობისა და თავგასულობის, წამგლეჯობის, ბინდობილი საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამოვლინებანი, ამხილონ ყოველივე უხამსი და ჩამორჩენილი, რაც კი ხელს უშლის საბჭოთა საზოგადოების წინსვლას.

სიმართლით ასახავს რა ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებსა და წინააღმდეგობებს, მწერალი ამასთან აქტიურად უნდა ამკვიდრებდეს ჩვენი სოციალისტური სინამდვილის დადებით საწყისს, ხელს უწყობდეს ახლის გამარჯვებას. არ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ პიესებს, რომლებშიც ყველაფერს ჩრდილავენ უარყოფითი პერსონაჟები, რომლებიც ამავე დროს დახატული არიან უფრო მკაფიო, მეტყველი ხატვრული საშუალებებით, ვიდრე დადებითი სახეები.

უკონფლიქტო დრამატურგიის პრიმიტიული „თეორია“ და ასეთივე პრიმიტიული შემოქმედება ამ „თეორიის“ საფუძველზე საბჭოთა დრამატურგიის განვითარების შემაფერხებელი, მისი ჩამორჩენის მიზეზი გახდა. ჩვენმა დრამატურგებმა და კრიტიკოსებმა ბოლო უნდა მოუღონ უბადრუკ ცრუთეორიებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამტკიცებენ უკონფლიქტო დრამატურგიის საჭიროებას.

საბჭოთა დრამატურგიის ძალაა ცხოვრების სიმართლის ასახვა.

III.

ჩვენი თეატრების სცენაზე უკანასკნელ ხანს დადგმული მთელი რიგი პიესების ნაკლოვანებანი გვარწმუნებენ, თუ რა უარყოფითს გავლენას ახდენს შემოქმედებაზე უკონფლიქტო დრამატურგიის გამოგონილი „თეორია“. ამ პიესებიდან ბევრი მიძღვნილია თანამედროვეობის საინტერესო და მნიშვნელოვანი თემებისადმი. მაგრამ ამ სპექტაკლებმა განა ნამდვილად ააღლვეს მაყურებელი, განა ისინი მისი ცხოვრების ნათელი მოვლენა გახდნენ, განა ისინი დაეხმარნენ მას გარემო სინამდვილის უფრო ღრმად შეცნობაში.

ეს ნაკლოვანებანი, კერძოდ, ცხადად ჩანს ნ. როეკოვის პიესაში „მოსკოვის შვილები“. პიესაში ჯეროვანი მხატვრული განსახიერება არ მიუღია სოციალისტური მრეწველობის მოწინავე ადამიანების ნოვატორობის თემას, რომლებიც გაბედულად ახორციელებენ ტექნიკურ პროგრესს. ძველთან ახლის კონფლიქტი, ბრძოლა დრამატურგს შეუცვლია ორი სტახანოველის გაჭიანურებული დავით ტექნოლოგიური წვრილმანების გამო. ავტორი ცდილობს დაინტერესოს მაყურებელი ჩქაროსნული ჭედვის მეთოდის შემდგომი რაციონალიზაციის პრობლემით და ამავე დროს არ იძლევა მოწინავე საბჭოთა მუშების ხასიათის ინდივიდუალურ ნიშნებს. ამიტომ ახლის შემოქმედნი, ჩვენი გმირები, რომლებისთვისაც შრომა ნამდვილი შემოქმედება გახდა, დაკნინებული, არასაინტერესონი ჩანან. მათი ინტერესების წრე ძლიერ შეზღუდულია, თავიანთი საამქროს იქით ისინი ვერაფერს ვერ ხედავენ.

რამდენადმე დამაჯერებლად განხორციელებული და თანმიმდევრულად განვითარებული არ არის კონფლიქტი ი. ტრიფონოვისა და ვ. მესხეთელის პიესაში „ახალგაზრდობის წლები“, რომელიც ამჟამად ერმოლოვას სახელობის თეატრის სცენაზე იდგმება. პიესა მოკლებულია მთლიან სიუჟეტურ ღერძს. ავტორების მიერ დასახული ხასიათები ნაჩვენები არ არის აქტიური მოქმედების პროცესში, ცხოვრებით გამოწვეულ შეჯახებებში და მეტწილად მკრთალად, არადამაჯერებლად გვევლინება.

უკონფლიქტო დრამატურგიის მცდარ „თეორიას“ შედეგად მოსდევს სინამდვილის ანტირეალისტური, დამახინჯებული, ცალმხრივი ასახვა. ცხოვრების კონფლიქტების მხატვრული განსაზიერების გარეშე შეუძლებელია ადამიანის ხასიათის ღრმად და ყოველმხრივად ჩვენება. მეტ წილ პიესებში ადამიანები ინდივიდუალიზებული არ არიან, ერთმანეთს გვანან, ისე რომ ხშირად მათი გარჩევა ძნელია. ჩვენი დრამატურგები ღრმად უნდა ასახავდნენ ადამიანთა ცოცხალ ხასიათებს, ინდივიდუალურ თავისებურებებს.

გმირების ღრმა ინდივიდუალიზაციის მოთხოვნა სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. საბჭოთა წყობილების სულისკვეთებისათვის უცხოა ადამიანისადმი უსულგულო მიდგომა, მისი გაუპიროვნების, ნიველირების ცდები.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს:

„სოციალიზმს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ინდივიდუალურ ინტერესებს. ამ პირადი ინტერესების ყველაზე სრული დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას, უფრო მეტი, — სოციალისტური საზოგადოება წარმოადგენს პიროვნების ინტერესთა დაცვის ერთადერთ მტკიცე გარანტიას“.

მხოლოდ მართლად ასახულ, ცოცხალ ხასიათებს შეუძლიათ დააინტერესონ მაყურებელი, მისთვის გასაგები გახადონ ნაწარმოების იდეა. მაგრამ სცენაზე კიდევ რამდენი პიესა იდგმება, რომლებშიც მოწინავე საბჭოთა ადამიანის სახით მოქმედებენ უსახო ადამიანები, რომლებიც არაფრით არ არიან შესამჩნევნი, მოკლებული არიან ჭკუას, ნიჭს, შთაგონებას. მკაფიო, დასამახსოვრებელ ხასიათებს!

პიესა „სტუდენტების“ ავტორს ვ. ლიფშიცს, როგორც ჩანს, უნდოდა დაეწერა ნაწარმოები ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობაზე, მის ფიქრებსა და გრძნობებზე. მაგრამ მაყურებელი ვერ ხედავს სტუდენტთა მდიდარ სულიერ სამყაროს: ამაში მას ხელს უშლის ლაპარაკი სასოფლო გაზგენერატორის პროექტზე, რომელსაც პიესაში უზომოდ ბევრი ადგილი აქვს დათმობილი. ავტორმა ვერ შეძლო თვითეული პერსონაჟისათვის მიეცა ცოცხალი, ტიპიური ხასიათი. პიესაში მოქმედი პირები მაყურებელს არ ამახსოვრდება.

საბჭოთა მაყურებელს, რომელიც თეატრისადმი ესოდენ დიდ ინტერესს იჩენს, ვერ აკმაყოფილებს სქემატური, ზერელე სახეები, რომლებიც ფრიად ბუნდოვან წარმოდგენას იძლევიან საბჭოთა ადამიანის შინაარსიან და მრავალმხრივ ხასიათზე.

მაყურებელს სურს საბჭოთა პიესაში ხედავდეს თავისი თანამედროვის მთლიან მხატვრულ სახეს.

ჩვენი დრამატურგიის სისუსტის ერთ-ერთი მიზეზია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ასახვის ცალმხრივობა.

უკანასკნელ ხანს ვხედავთ პიესებს, რომლებსაც იგივე ნაკლი აქვთ, რაც ბევრ პროზულ ნაწარმოებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შესახებ. ამ ნაწარმოებებში ასახულია ტექნიკა, ლაპარაკია შეჯიბრებაზე, საწარმოო გეგმების შესრულებაზე. მაგრამ იქ ასახული არ არის ადამიანთა ყოფაცხოვრება, მათი კულტურა, სულიერი სამყარო.

საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი და გლეხობა კი სხვა გახდნენ და ისე აღარ ცხოვრობენ, როგორც წინათ. ისინი ცხოვრობენ კულტურულად, შეძლებულად, მათი სულიერი ინტერესები მრავალფეროვანია. ბევრ ნაწარმოებში კი ისინი ნაჩვენები არიან ცალმხრივად, ისეთ ადამიანებად, რომლებსაც არავითარი ინტერესები არა აქვთ, გარდა საწარმოო-ტექნიკური ინტერესებისა.

პიესის „სადაც ფიქვები ხმაურობენ“ ავტორს დმ. შეგლოვს ყველა შესაძლებლობა ჰქონდა ეჩვენებინა კარელელ ტყის მჭრელთა ყოფაცხოვრება, თავისი გმირების ფიქრებისა და გრძნობების სამყარო, მათი სულიერი მოთხოვნილებები და ინტერესები, მათი ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით. მაგრამ პიესის მოქმედ პირთა ფიქრები მხოლოდ ტყის ჭრის გარშემო ტრიალებს. ერთმანეთთან სტუმრად მივლენ, მაგიდას მოუსხდებიან თუ ქორწილს იხდიან — მუდამ ლაპარაკი აქვთ ხეების ჭრაზე, გამოსაზიდავ ტრაქტორებზე, სამუშაო პროცესების რაციონალიზაციაზე.

პიესის ერთ-ერთ გმირს, კატერინას, ეკითხებიან:

„—რატომ ასე იშვიათად მოდიხართ ჩვენთან, კატია. სულ ვერა გხედავთ?

კატერინა (მხრების აჩეჩვით). ხშირად რატომ უნდა ვიარო? როცა ტოიკო ივანეს-ძე გვეძახის, მაშინ მოვდივარ კანტორაში და ვუსმენ, რასაც იგი კვიხსნის... ტყეში მუშაობის შესახებ.

ლემპი. რატომ უბრალოდ არ მოხვალ? რომ დავსხდეთ და ვისაუბროთ...

კატერინა. არა მცალია, დედი.

ლემპი. შენ ახლა ტყეშიც არ ელაპარაკები ანტის.

კატერინა. ტყეში სალაპარაკო არაფერი გვაქვს, დედი. იქ ციბრუტივით უნდა ტრიალებდე“.

პიესაში ადამიანები მართლაც არაფერზე არ ლაპარაკობენ, გარდა ტყისა. საყვარელ კაცთან შეხვედრის მოლოდინშიც კი ქალიშვილი ფიქრობს: „იქნებ მას ისე უნდა ლაპარაკი... მუშაობაზე, ტყეზე?“ ქორწილია. მაგრამ აქაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და სტუმრები მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ გამოიწვიონ ერთმანეთი ტყის ჭრაზე შეჯიბრებაში, მსჯელობენ ამ შეჯიბრების მაჩვენებლებზე. ავტორი ღრმად არ ჩასწვდომია ადამიანთა ყოფასა და შინაგან ცხოვრებას, ყალბად, მწირად წარმოგვიდგენს მათს ინტერესებს.

ცხოვრების სიმართლის საწინააღმდეგოდ, მთელ რიგ ნაწარმოებებში დადებითი გმირი ხშირად შეზღუდულ, ცალმხრივ ადამიანად აღმოჩნდება ხოლმე. თანამედროვე პიესების გმირებს ხშირად აკლიათ აზროვნების სიფართოვე, თვალთახედვის ფართო არე, რომელიც ასე დამახასიათებელია მოწინავე საბჭოთა ადამიანისათვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გმირების მხოლოდ საწარმოო-ტექნიკური მუშაობის ცალმხრივი ასახვა შედეგია სოციალისტურ რეალიზმზე გამარტივებული წარმოდგენისა. სოციალისტური რეალიზმი მოითხოვს, რომ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე

9 აპრილს საერთაშორისო ეკონომიური თათბირის **პლენარული სხდომა გაიხსნა პოლ ბასტიდის** (საფრანგეთი) თავმჯდომარეობით.

სხდომას ესწრებიან 48 ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ეკონომისტები, ინჟინრები, პროფკავშირებისა და კოოპერაციის მოღვაწენი.

სექციების თავმჯდომარეებმა პლენარულ სხდომას წარუდგინეს სექციების მუშაობის ანგარიშები, რომლებშიც შეჯამებულია სექციებში აზრთა გაცვლის შედეგები და აქედან გამომდინარე დასკვნები, აგრეთვე თათბირის მონაწილეთა მიერ შეტანილი ძირითადი წინადადებანი.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების სექციის თავმჯდომარემ პროფესორმა **ო. ლანგემ** (პოლონეთი) აღნიშნა, რომ ორატორთა უმრავლესობის აზრით საერთაშორისო ვაჭრობის მოშლა შედეგია საგარეო ვაჭრობის დისკრიმინაციული შეზღუდვებისა, რომლებიც განხორციელებულ იქნა არაეკონომიური ხასიათის მოსაზრებებით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების, კანადის, ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლებმა, აგრეთვე თათბირის მონაწილემ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, განაგრძო ლანგემ, აღნიშნეს, რომ პრობლემის ერთადერთი რადიკალური გადაჭრაა გაფართოვდეს ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სფერო, რომელიც ახლა ძალზე შეკვეცილია.

დისკუსიიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, განაცხადა ლანგემ, თათბირის მონაწილეთა მიერ იმის დადასტურება, რომ არსებობს საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის გადიდების ფართო შესაძლებლობა. სექციის სხდომებზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირს, ჩინეთს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, რუმინეთს, უნგრეთს, ბულგარეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ყველას ერთად შეუძლიათ მოკლე პერიოდში — 2-3 წელიწადში კაპიტალისტურ ქვეყნებთან თავიანთი საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 2,5-3-ჯერ გაადიდონ.

ლანგემ აღნიშნა, რომ დასავლეთ ევროპის, აზიის, ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ნაწილთა ქვეყნების საქმიანი წრეების ბევრმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მზად არიან განავითარონ სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირთან, ჩინეთთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

შემდეგ ლანგემ შეაჯამა სექციის განსახილველად წარმოდგენილი ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადებანი.

ლანგე აღნიშნავს, რომ, **მისი აზრით**, სექციის სხდომაზე შეტანილი წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვის შესახებ ფრიად მიზანშეწონილია. ჩვენ უნდა მივმართოთ, თქვა მან, მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მისი მთავარი ორგანოს — გენერალური ასამბლეის მეშვეობით, ამასთან საჭიროა აღინიშნოს ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის **გაუმჯობესებისათვის**, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის.

ჩვენ უნდა ვურჩიოთ, ამბობს იგი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მოიწვიოს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის სამთავრობათაშორისო კონფერენცია.

შეეხო რა წინადადებას ვაჭრობის საკითხთა საერთაშორისო ორგანოს შექმნის შესახებ, ლანგემ თქვა, რომ, როგორც ჩანს, საქმე უნდა ეხებოდეს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა კომიტეტის შექმნას.

მოხსენება **სოციალურ პრობლემათა გადაჭრისათვის საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის ხელქვის** მუშაობის შესახებ გააკეთა **პიერ ლებრენმა** (საფრანგეთი). მან თქვა, რომ სექციამ ყველაზე მეტი ყურადღება დაუთმო ისეთ საკითხებს, როგორიც არის სურსათის ნაკლებობა, უმუშეურობა, აგრეთვე სოციალური პრობლემების გამწვავება შეიარაღებისა და ვაჭრობაში დისკრიმინაციის პოლიტიკის შედეგად. ლებრენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სექციის წევრთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის კუზნეცოვის გამოსვლამ, რომელმაც ილაპარაკა დასავლეთის ქვეყნებში უმუშეურობის წინააღმდეგ ბრძოლის გზებზე. ვაჭრობის განვითარების დარგში საბჭოთა წინადადების რეალიზაცია, რომლებიც სსრ კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ნესტეროვმა წამოაყენა, თქვა მან, მთელი რიგი წლების მანძილზე უზრუნველყოფდა სამუშაოთა 1,5-2 მილიონ კაცს.

შემდეგ ლებრენმა გამოაქვეყნა სექციის მიერ ერთსულოვნად მიღებული წინადადებანი.

სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემათა სექციის მუშაობის შედეგების შესახებ ილაპარაკა მისმა თავმჯდომარემ **გაინ ჩანდმა** (ინდოეთი). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ცხადყო, რომ ამ ქვეყნებში ხალხის მასები დიდად იტანჯებიან სიღატაკით და ავადმყოფობით და რომ პრობლემები, რომლებიც სუსტად განვითარებული ქვეყნების წინაშე დგას, ძირითადად ერთნაირია, რადგან ეს ქვეყნები აგრარული ქვეყნები არიან. საჭიროა, თქვა გაინ ჩანდმა, მიღებულ იქნას ღონისძიებანი ამ ქვეყნებში მრეწველობის განსავითარებლად და მათი ბუნებრივი სიმდიდრის საკუთარი გამოსაყენებლად მოსახლეობის ინტერესებისათვის.

ამჟამად, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, სუსტად განვითარებული ქვეყნები მეტად არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან იმის გამო, რომ მათი ეკონომიური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სექტორებს (ბუნებრივ სიმდიდრეს, მრეწველობას, ბანკებს, საგარეო ვაჭრობასა და ნაოსნობას) კონტროლს უწევენ უცხოელები, რაც აფერხებს ამ ქვეყნების განვითარებას.

* * *

პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე იაპონიის მრჩეველთა პალატის წევრი ქ-ნი **ტომი კორა** და მრეწველი **ჰენრიხ კრუმი** (დასავლეთი გერმანია).

აღნიშნა რა, რომ გამოდის როგორც კერძო პირი, ტომი კორამ ილაპარაკა იაპონელი ხალხის ფართო ფენების გაჭირვებულ მდგომარეობაზე. მან იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში „იაპონიას საშუალება მიეცემა ივაჭროს თავის ახლო მეზობლებთან იმის ნაცვლად, რომ ნედლეული იყიდოს შორეულ ქვეყნებში და შემოზიდოს წყნარი ოკეანით“.

* * *

სხდომის მეორე ნახევარში, რომელიც **დაფტარის** (ირანი) თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გამოვიდა **ო. ლანგე**. მან შეიტანა წინადადება დაევალოს პრეზიდიუმს თათბირისათვის წარმოდგენილ წინადადებათა საფუძველზე მოამზადოს პროექტი წინადადებისა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობი კომიტეტის შექმნის შესახებ, პროექტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვისა და პროექტი კომუნიკესი თათბირის ძირითადი შედეგების შესახებ. ეს წინადადება თათბირმა ერთსულოვნად მოიწონა.

თათბირის გენერალურმა მდივანმა **რ. შამბეირონმა** პრეზიდიუმის სახელით შეიტანა წინადადება თათბირის საბოლოო სხდომა მოეწყოს არა 10 აპრილს, როგორც განზრახული იყო, არამედ 12 აპრილს, ბევრმა საქმიანმა პირმა — თათბირის მონაწილემ, თქვა შამბეირონმა, ითხოვა მიეცეს დრო საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სხვა დელეგაციებთან შესახვედრად, რათა განაგრძოს თათბირის დასაწყისშივე დაწყებული სავაჭრო მოლაპარაკება. საბოლოო სხდომის ორი დღით გადადება საჭიროა აგრეთვე იმისათვის, რომ მომზადდეს წინადადებათა პროექტები და თათბირის მონაწილეებს საშუალება მიეცეს შეისწავლონ ეს პროექტები. ეს წინადადება თათბირმა მიიღო.

ამის შემდეგ სხდომა დაიხურა. (საკადესი).

ერფურტში გაიხსნა გამოფენა „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი“

ბერლინი, 8 აპრილი. (საკადესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, ერფურტში გასული კვირის დამლევს გაიხსნა გამოფენა „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი“. გამოფენის გახსნას დაესწრო ტიურინგიის მხარის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

გამოფენა „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი“, რომელიც მანამდე მოწყობილი იყო ბერლინსა და ჰალეში, ინახულა 270 ათასზე მეტმა კაცმა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი. 9 აპრილი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო | არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის სამი თვითმფრინავი.

ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ფაქტების გამომკვლევი ჩინეთის კომისია კორეაში

პეკინი, 9 აპრილი. (საკადესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ფაქტების გამომკვლევი კომისია კორეის ფრონტზე შეხვდა ჩინელ სახალხო მოხალისეთა შტაბებისა და ნაწილების წარმომადგენლებს, ჩინეთის ეპიდემიისსაწინააღმდეგო მოხალისეთა რაზმების წევრებს და მოწმეებს მოხალისეთაგან. შეხვედრას დაესწრნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ლო ჯინსანი, ლონდონის გაზეთ „დეილი უორკერის“ კორესპონდენტი ალან უი ნინგტონი.

კომისიის მეთაურმა ლი დე-ციუანმა მადლობა გადაუხადა მოხალისეებს ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების დამამტკიცებელი საბუთების შეგროვებაში დიდი დახმარების გაწევისათვის. მან თქვა, რომ კორეელი და ჩინელი ხალხების გაერთიანებულ ღონისძიებათა მეოხებით ისპობა მომაკვდინებელი ბაქტერიებით დასენიანებული მწერები, და აღნიშნა ეპიდემიისსაწინააღმდეგო რაზმების მებრძოლთა მაღალი მორალური მდგომარეობა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ლიაო ჩენ-ჯიმ გააკეთა დაწერილებითი მოხსენება კომისიის მიერ შესრულებული გამოკვლევის შესახებ.

ეპიდემიისსაწინააღმდეგო მოხალისეთა რაზმის უფროსის მოადგილემ, ბაქტერიოლოგმა ვეი სიმ და კომისიის სხვა წევრებმა გამოაქვეყნეს თავიანთი კვლევის შედეგები. მათ განაცხადეს, რომ 8-დან 10 გრადუსამდე ნულს ქვემოთ ტემპერატურის დროს თოვლზე აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა სახეობის დიდძალი მწერი განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრული შექუჩებით. ეს ამტკიცებს, რომ მწერები ბუნებრივად არ გაჩენილან. მთიან რაიონებში ნაპოვნი მკვდარი თევზების გროვები აშკარად ამტკიცებს, რომ ეს თევზი თვითმფრინავებმა ჩამოყარეს. თვითმფრინავიდან ჩამოყრილი მწერებისა და სხვა ცოცხალ არსებათა, აგრეთვე საგნების მეცნიერული გამოკვლევა ადასტურებს, რომ ისინი დასენიანებული იყვნენ ბუბონური შავი ჭირის, ტიფის, ციების, დეზინტერიისა და ხოლერის ბაქტერიებით და რომ ამ ბაქტერიების უმრავლესობა კულტივირებული იყო ხელოვნურად.

ჩინელ სახალხო მოხალისეთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამერიკის თვითმფრინავები დასენიანებულ მწერებსა და სხვა საგნებს ყრიდნენ იმ რაიონებში, სადაც განლაგებული არიან მათი ნაწილები. მოწმის ჩვენება მისცა 27 მოხალისემ.

მექრთამეობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აპარატში

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკადესი). ამერიკის პრესა კვლავ კომენტარს უკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის მაკგრატისა და იერისტ ნიუბოლდ მორისის გადადგომას, რომელიც აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო აპარატში მექრთამეობის გამოძიებას.

გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“ აქვეყნებს მთელ რიგ სტატიებს მორისის განცხადებათა საფუძველზე.

მორისმა განაცხადა რომ, როგორც კონგრესში თავისი მეგობრებისაგან გაიგო, კონგრესის ლიდერებს არ სურთ წარმოებდეს რაიმე გამოძიება, რომელიც ამერიკელ ხალხს მიაწვდის ცნობებს მთავრობის აპარატში არსებული მექრთამეობის შესახებ, ერთმა სენატორმა განაცხადა, რომ გამოძიების მიზანი იყო მხოლოდ და მხოლოდ „წყლის ნაყვა“.

გაიხსენა რა კითხვარები, რომლებიც მან მოამზადა როგორც პირველი ღონისძიება გამოძიების პროცესში და რომელთა მიხედვითაც მთავრობის მოხელეებმა უნდა წარმოადგინონ ცნობები მათი კერძო შემოსავლისა და ამ შემოსავლის წყაროების შესახებ, მორისმა განაცხადა, რომ ამ კითხვარებმა შეაშინა მაკგრატი, და გადაკვრით აღნიშნა, რომ კითხვარებმა შეაშინა აგრეთვე ტრუმენი.

ალენი აღნიშნავს, რომ არა მარტო მაკგრატი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი სნაიდერიც განზრახ არ უწყობდა ხელს მორისს, ხოლო პრეზიდენტის აღმინისტრაციიდან თანაშემწემ დონლდ დიუსონმა ხელი შეუშალა მორისის აპარატს განეგრძო რაიმე მუშაობა, დანიშნა რა მის შემადგენლობაში დიუსონის ერთგული მოხელე.

გაზეთ „დეილი უორკერის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი რობ ჰოლი წერდა, რომ მორისს კითხვარებმა ტრუმენის მთავრობაში გამოიწვია კრიზისი, რომლის გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ მორისის დათხოვნით. ჰოლი წერს: „მორისმა... გადაწყვიტა, რომ მექრთამეობის მხილებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო იმის გამორკვევა, თუ რა სახსრები დააგროვეს მთავრობის წარმომადგენლებმა. მაგრამ როგორც კი დაიწყო ეს, მორისი იძულებული გახდა შეხებოდა დიდ ფიგურებს, მათ შორის მაკგრატსაც... ტრუმენის მთავრობაში შედიან ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი ძალიან მდიდარი ადამიანები — ჰარიმანი, უილიამ დრეიპერი, აჩესონი, ლოვეტი და ბოლო დრომდე შედიოდა ჩარლზ ვილსონი... მთავრობის დაწესებულებანი სავსეა უოლ-სტრიტის წარმომადგენლებით და მსხვილი კონცერნების დირექტორებით, რომლებიც ჯიბეს ისქელებენ სამხედრო დაკვეთებით“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი კროკი, იუწყება რა მაკგრატის „გადაყენების „მიზეზს“, აღნიშნავს, რომ 20 მარტს მაკგრატმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა, რომ მორისის კითხვარი წარმოადგენს „ცალკეულ მოქალაქეთა უფლებების დარღვევას..., და იწინასწარმეტყველა, რომ პატიეცემული და დასაფასებელი სახელმწიფო მოღვაწეები უმალ გადადგებიან, ვიდრე ამ კითხვებზე გასცემენ პასუხს“. კროკის სიტყვით, მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები და ჩარლზ ვილსონი დაეთანხმნენ ამ აზრს, რის შემდეგ ტრუმენმა მაკგრატს მისცა მითითება არ მიეღო გადაწყვეტილება კითხვართა შესახებ, მანამდე, სანამ იგი, ტრუმენი, არ გაეცნობოდა მათ შინაარსს.

კროკი იუწყება, რომ 2 აპრილს ტრუმენსა და მაკგრატს შორის გაიმართა „მეგობრული საუბარი“ და ისინი შეთანხმდნენ მორისისა და მისი კითხვარების საკითხზე. ტრუმენმა წინადადება მისცა მაკგრატს არ დაეგზავნა კითხვარები. როგორც კროკი აცხადებს, როდესაც მაკგრატმა ტრუმენს მოაგონა, რომ მორისს არაერთხელ საჯაროდ განუცხადებია, რომ თუ კითხვარი არ დაგზავნეს, იგი „შინ დაბრუნდება“, პრეზიდენტმა უპასუხა, რომ თავის იურიდიულ მრჩეველს ჩარლზ მერფის მისცემს მითითებას აცნობოს მორისს, რომ იგი დათხოვნილია“.

ნიუბოლდ მორისის უკანასკნელ სტატიაში, რომელიც გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანში“ გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ „ვაშინგტონის ფედერალური მთავრობის აპარატში ისეთი ქაოსია გამეფებული, რომ პატიოსანი გამომძიებელი, რარიგ უნარიანი და ნიჭიერიც უნდა იყოს იგი, პირში ჩალაგამოვლებული შეიძლება დარჩეს“.

სარედაქციო სტატიაში „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ მაკგრატისა და მორისის გადაყენება „ცხადყოფს კრიზისს მთავრობაში... როცა ტრუმენმა მორისი გაიწვია ვაშინგტონში, მას ისე ეჭირა თავი, თითქოს აპირებდა წესრიგის დამყარებას. მაგრამ მექრთამეობა ისეთი მაღალ წრეებს მოედო, რომ პირველი ცდისთანავე მორისი გაუვალ კედელს წააწყდა... ამრიგად, მორისი მიაბრძანეს... ხოლო იმისათვის, რომ ამომრჩეველთა თვალში პრესტიჟი შეენარჩუნებინათ, ასევე მოეკლნენ მაკგრატს“.

ამერიკელი რასისტების დანაშაული

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. (საკადესი). სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კონგრესის მდივანმა უილიამ პატერსონმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ მარტში შეერთებულ შტატებში მოკლულ იქნა 9 ნაგი „უმთავრესად რასობრივი სიძულვილის ნიადაგზე და გენოციდის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის საწინააღმდეგოდ“.

ამას წინათ იონკერსში (ნიუ-იორკის შტატი), ნათქვამია მოხსენებაში, გადამდგარმა პოლიციელმა სტენლი ლაბენსკიმ მოკლა ძმები ჯეიმს და უაიატ ბლეკნელები: პოლიციელს არ მოეწონა, რომ ზანგებს მომსახურებას უწევდნენ იმ ლუდხანაში, სადაც თეთრკანიანები დაიარებიან. ბირმინჰემში (ალაბამის შტატი) პოლიციელმა ტყვიით მოკლა 27 წლის ზანგი — მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ჯონ ვანი იმისათვის, რომ მან „საკმაოდ სწრაფად არ ჩაიცვა“. დილენდში (ფლორიდის შტატი) თეთრკანიანმა შოფერმა განზრახ დააჯახა მანქანა ავტომობილს, რომლითაც 4 ზანგი მიდიოდა. ზანგები დაიღუპნენ. ვაშინგტონში პოლიციელმა ჯორჯ მედლინმა მოკლა ზანგი ჯეიმს ხმოლეფდი თითქოს „თავდაცვის“ მიზნით. ჰაკენსაკში (ნიუ-ჯერსის შტატი) პოლიციელმა ხელკეტის ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა ზანგი სამონ პარკერი იმისათვის, რომ მან თითქოს „უწესობა გამოიწვია“.

სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კონგრესის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კონგრესი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიას მოსთხოვს მიიღოს ღონისძიებანი შეერთებული შტატების მთავრობის მიმართ — გენოციდის კონვენციის დარღვევისათვის.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 9 აპრილი. (საკადესი). 8 აპრილს მთელი დღის განმავლობაში და ღამით ეროვნულ კრებაში საფინანსო კანონპროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით კენჭს უყრიდნენ მთავრობის ნდობის საკითხს. ამ კანონპროექტის განხილვის მსვლელობაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პინეიმ 10-ჯერ (ცხრა მუხლისა და მთლიანად კანონპროექტის გამო) დასვა საკითხი ნდობის შესახებ და მოითხოვა მიეღოთ მის მიერ წარდგენილი საფინანსო ღონისძიებანი.

ამ ღონისძიებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია წინადადებანი ხარჯების ზოგიერთი მუხლისათვის სახელმწიფო კრედიტების ბლოკირებისა და კაპიტალდაბანდებისა და რეკონსტრუქციისათვის კრედიტების შემცირების შესახებ. პინეი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე მუხლს „საგადასახადო ამნისტიის“ შესახებ, რომლის თანახმადაც მსხვილ კაპიტალისტურ საზოგადოებებს ნება ეძლევათ არ გადაიხადონ გადასახადებით გამოწვეული ძველი ვალები, რომლებიც, პრესის შეფასებით, დაახლოებით 500-600 მილიარდ ფრანკს შეადგენს.

ეროვნულმა კრებამ ყველა ცხრა მუხლსა და მთლიანად კანონპროექტზე მიიღო მთავრობის ნდობის რეზოლუცია. ამრიგად დამტკიცდა საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც სამხედრო ხარჯები 1.400 მილიარდ ფრანკს შეადგენს.

მთავრობის ნდობას ხმა მისცეს რადიკალებმა, ეგრეთწოდებულმა „დამოუკიდებელმა რესპუბლიკელებმა“ (დაჯგუფება, რომელსაც ეკუთვნის თვით პინეიც), „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ კათოლიკეთა პარტიის წევრებმა და მთავრობაში წარმოდგენილი სხვა პარტიების დეპუტატებმა. გარდა ამისა, მთავრობას მხარი დუჭირეს სოციალისტებმა და დეგოლელებმა. კომუნისტმა დეპუტატებმა და პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრმა დეპუტატებმა ყველა მუხლში თანმიმდევრულად ხმა მისცეს მთავრობის ნდობის წინააღმდეგ, ამხილეს ომისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკა, რასაც მთავრობა ახორციელებს.

ქალთა საკავშირო კრებაზე ბიბლიოთეკა

საინტერესო პოზიცია შეიქმნა ლ. რუდენკოსა და ნ. კოიცეკის პარტიაში. ლ. რუდენკომ მოწინააღმდეგის მიერ შეფის ფლანგზე იერიშს უპასუხა ლაზიერის ფრთაზე კონტრიერიშით, და შემდგომი ენერგიული თამაშით აიძულა მოწინააღმდეგე 30-ე სვლაზე დანებებულიყო. მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ესტონეთის ჩემპიონმა ს. როოტარემ თ. სტრანდსტრემთან, ვ. ბელოვამ ბ. კრუზბერგთან და ოსტატმა ო. იგნატიევამ ს. პოდვოინიასთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ბ. ვაისბერგი-ვ. ტიხომიროვა, ლ. ვოლპერტი-ტ. მახინია.

ე. ბიკოვა-ო. რუბცოვასა და ტ. ფილანოვსკაია-ი. გურფინკელის პარტიები გადადებულია.

მეცამეტე ტურის წინ ესტონეთის ჩემპიონს ს. როოტარეს აქვს 8½ ქულა და ერთი გადადებული პარტია, მსოფლიო ჩემპიონს ლ. რუდენკოს 8 ქულა და 3 გადადებული პარტია.

რუსთაველის სახელობის თეატრის პრემიერა

შაბათს, 12 აპრილს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი მაყურებელს უჩვენებს ი. ვაკელის ოთხმოქმედიან პიესას „ოჯალ“. სპექტაკლს სდგამს რეჟისორი მესხი, მხატვრულად აფორმებს სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. თავაძე, კომპოზიტორია სტალინური პრემიის ლაურეატი ო. თაქთაქიშვილი.

მადნეულთა დამუშავებისა და ელექტრო-მექანიზმების სპეციალისტთა მომზადება

1944 წელს თბილისში გახსნილმა მეტალურგიულმა ტექნიკუმმა, რომელიც ჩვენი მეტალურგიული მრეწველობისათვის ამზადებს ტექნიკოს-მეტალურგებს, უკვე გამოუშვა და მეტალურგიულ საწარმოებს მისცა 235 ტექნიკოსი. მომავალი სასწავლო წლიდან გადაწყვეტილია ტექნიკუმის სასწავლო პროფილის გაფართოება. ტექნიკუმთან გაიხსნება ახალი განყოფილებები, რომლებიც მომზადებენ მადნეულთა დამუშავებისა და სამთო ელექტრომექანიკური სპეციალობის ტექნიკოსებს. ამ ახალ სპეციალობათა მიხედვით მოსამზადებლად წელს ტექნიკუმში მიიღებენ 210 მოსწავლეს.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

11 აპრილს, ხალამოს 9 საათზე, შედგება ამხ. **ს. ფრიშენბერგის** ლექცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.“**

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 10-IV მოწონავე — მეტი ყურადღება მუშა ახალგაზრდობის აღზრდას.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურისა და ვოლგა-ურალის თვითმდინარი არხის მშენებელთა წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს გო მო-ჟოს გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია. გო მო-ჟოს სიტყვა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — ი. დოროშევი — მეცნიერული კომუნიზმის დიადი ნაწარმოები (კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის რუსული თარგმანის გამოშვების 80 წლისთავის გამო).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ვ. ეგნატაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

მესამე გვერდი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ვ. ეგნატაშვილის მოხსენების დასასრული. დეპუტატების ა. ვასაძის, გ. ჯალიაშვილისა და ვ. ჩაღუნელის სიტყვები.

მეოთხე გვერდი—საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე. უცხოეთის ინფორმაციები. ფიზკულტურა და სპორტი. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატრაშვილი

დავძლიოთ დრამაგურგიის ჩამორჩენა

(დასასრული)

მრავალმხრივი და სრული იყოს მხატვრული ასახვა ცხოვრებისა მთელი მისი სირთულით, და უწინარეს ყოვლისა ადამიანის სულიერი სახის მთელი სიმდიდრისა.

ადამიანის ცხოვრების ასახვის ცალმხრივობა, მისი ყოფაცხოვრებისა და კულტურის უგულებელყოფა იმის მაჩვენებელია, რომ მხატვარი საკმაოდ ღრმად არ იცნობს ცხოვრებას. ტექნიკის ასახვა, შეჯიბრების შესახებ დაწერა შეიძლება დირექტორის კაბინეტში აღებული ცნობების საფუძველზე, სათანადო საამქროს ან კოლმეურნეობის რამდენჯერმე ნახვის შემდეგ. იმისათვის კი, რომ კარგად ასწეროს საბჭოთა ადამიანის ყოფაცხოვრება, კულტურა, სულიერი მოთხოვნილებები და ინტერესები, ლიტერატორმა გაცილებით მეტი რამ უნდა გააკეთოს: ღრმად უნდა შეისწავლოს მუშებისა და გლეხების ყოფაცხოვრება. დრამატურგები მოვალენი არიან ყოველმხრივ განავითაროონ საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავი, განსაკუთრებული თვისება — ყველა ჩვენი გამარჯვების შემოქმედის — საბჭოთა ადამიანის ასახვისადმი სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულება.

მწერლის უუნარობა—აჩვენოს გმირები მოქმედებაში, მოქმედების შეცვლა რიტორიკული რეპლიკებითა და მრავალსიტყვაობით, მოქმედი პირების ენისადმი, პიესის კომპოზიციის, მისი სიუჟეტური განვითარების დამუშავებისადმი უგულო დამოკიდებულება ძლიერ ემჩნევა პიესის ხარისხს. ამიტომ ცხოვრების წინააღმდეგობათა და ხასიათთა ჩვენებაში მხატვრული ოსტატობის ამაღლება ახლა საბჭოთა დრამატურგიის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს პირობად ხდება.

IV.

საბჭოთა დრამატურგების შემოქმედებითი ამოცანები ამომწურავი სისრულით განსაზღვრულია პარტიის მითითებებში, საკავშირო კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე მიღებულ სხვა დადგენილებებში. პარტია მოუწოდებს დრამატურგიისა და თეატრის მოღვაწეებს მთავარი ყურადღება მიაქციონ თანამედროვე საბჭოთა რეპერტუარის შექმნას, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების შესახებ, საბჭოთა ადამიანის შესახებ მკაფიო, იდეურად და მხატვრულად სრულფასოვან ნაწარმოებთა შექმნას.

ხალხი ისეთ პიესებს ელის, რომლებიც მტკიცედ და დიდი ხნით შევა თეატრების რეპერტუარში და დაიჭერს ადგილს კლასიკოსთა ნაწარმოებების გვერდით. ეს პიესები თეატრსაც და მაყურებელსაც უნდა იტაცებდნენ თემისა და ცხოვრების მასალით და ოსტატობის მაღალი დონით.

ოსტატობის სწავლა, მტკიცედ, ბეჯითად, განუწყვეტლივ სწავლა — აი რა არის ახლა მთავარი, უმნიშვნელოვანესი თვითეული ჩვენი დრამატურგისათვის. უნდა განვავითაროთ ჩვენი დრამატურგია, მთელი მისი მრავალფეროვანი ჟანრები, უფრო გაბედულად მოვკიდოთ ხელი სატირული პიესებისა და კარგი, მხიარული კომედიების შექმნას, რომლებსაც მწერლები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

საბჭოთა საზოგადოებრიობას უფლება აქვს მოსთხოვოს ხელოვნების საქმეთა კომიტეტსა და საბჭოთა მწერლების კავშირს უფრო მეტად იზრუნონ თეატრების მაღალმხატვრული რეპერტუარის შექმნისათვის. ხელოვნების საქმეთა კომიტეტსა და თეატრებს დღემდე არ ჰქონიათ თანამედროვე რეპერტუარის შექმნის ნამდვილი შემოქმედებითი პროგრამა. ფართოდ უნდა იქნას შემოღებული ნამდვილად შემოქმედებითი დისკუსიები და დრამატურგიის ახალ ნაწარმოებთა საზოგადოებრივი განხილვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლებთან თეატრების კავშირის ყოველმხრივ განმტკიცებას და მათს ერთობლივ მუშაობას. თეატრებსა და დრამატურგებს შორის ურთიერთობა ნამდვილად შემოქმედებითი, პრინციპული, მომთხოვნი უნდა იყოს. ყურადღებას იქცევს ის, რომ ხშირად დრამატურგთან მუშაობას გაურბიან მსახიობები, თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი.

თეატრალურ კრიტიკას თავისი ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ არ დაუყენებია მხატვრული ოსტატობის საკითხები, ის საკითხები, თუ რამდენად შესწევთ დრამატურგებს უნარი შექმნან ცხოვრების სიმართლის საგსებით შესაბამისი პიესები. კრიტიკის ნაკლოვანებანი, რომლებიც აღინიშნულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობეს